

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

## \*2424

რუსეთის და  
ევროკავშირის  
წინააღმდეგობა  
- საქართველო და  
ადამიანის უფლებები

A7



ცნობილი ფილის  
იურიდიული  
პრობლემები

A9



„ბორჯღალოსნებს,  
A იტალია ელის

A13



### 24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია  
იხილეთ Web-გვერდზე

## www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



შპს საფაფხაო ჯგუფი

## აბვიტროს ბაკვათილავი

საქართველოში ნებაყოფლობითი და სავალდებულო რეზერვის სისტემას ნერგავენ

თამარ ივანიძე

2010 წლიდან საქართველოში რეზერვის ახალი სისტემა უნდა ამოქმედდეს. "ეროვნული გვარდის ხედვა", რომელიც აღნიშნულ სიახლეს გულისხმობს, ამ დღეებში საჯარო განხილვების საგნად იქცა. თავდაცვის სამინისტრომ სარეზერვო სამსახურის რეორგანიზაციის გეგმა პირველად არასამთავრობო სექტორს წარუდგინა. მიმდინარე კვირას კი დოკუმენტი საპარლამენტო ოპოზიციასაც გადაცნეს. ხედვა განთავსებულია თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე და მისი წაკითხვა ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, განხილვების შემდეგ, შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადდება შესაბამისი კანონპროექტი, რომლის განხილვა და დამტკიცება საქართველოს პარლამენტმა 2009 წელს უნდა მოასწროს.

განხილვებში მონაწილე ყველა მხარე თანხმდება, რომ რეზერვის არსებული სისტემა არაეფექტურია და ცვლილებას აუცილებლად საჭიროებს.

ბაზრძალავა A2 გვერდზე



## ნატო

### ღირებულებებს დაიცავს

საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება  
კვლავ აქტუალურია

დათო ბაჩიშვილი

3-4 დეკემბერს ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ბრიუსელში შეიკრიბებიან. გუშინ ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა, რომ ბრიუსელის მინისტრიალზე საქართველოსა და უკრაინისთვის მაპ-ის მინიჭების საკითხზე იმსჯელებენ. თბილისში ამ განცხადებას ნატო-ს მიერ საკუთარი პრინციპების დასაცავად გადადგმულ ნაბიჯად აღიქვამენ.

ნატო-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტრიალში ალიანსის 28 წევრი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ ბრიუსელში პირველად გაიმართება ნატო-რუსეთის ფორმალური სხდომა საგარეო

საქმეთა მინისტრების დონეზე. ამავე დროს, დაგეგმილია ნატო-საქართველოსა და ნატო-უკრაინის კომისიების სხდომების ჩატარება.

ბელგიის დედაქალაქში საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების საკითხის განხილვა კანონზომიერად მიაჩნია პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილს. როგორც მან "24 საათთან" საუბარში განაცხადა, "ეჭვიც არ მეპარება, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხი არ მოხსნილა. ამ ყველაფერს, უბრალოდ, სჭირდება დრო და როგორც ინსტიტუციური მზაობა, ისე, განსაკუთრებით, ქვეყნის ირგვლივ შექმნილი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება." დარჩიაშვილის აზრით, ყოველივე ეს არანაირად არ ნიშნავს იმას, თითქოს ნატო უკან დაიხევს.

ბაზრძალავა A3 გვერდზე

## მეროზის ახალი კანდიდატი ოპოზიციის ბანაკიდან

მეროზის კიდევ ერთი კანდიდატი გახდა ცნობილი. "კონსერვატიულმა პარტიამ" თავისი რჩეული დაასახელა - ზვიად ძიძიგური. იგი, სხვა ოპოზიციურ კანდიდატებთან ერთად, პრაიმერში ჩაერთვება.

ზვიად ძიძიგური გუშინ ჭადრაკის სასახლეში წარადგინეს. მეროზის ახალი კანდიდატის თქმით, პრაიმერი შესანიშნავი საშუალებაა ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად. ოპოზიცია ყველაფერს გააკეთებს, რათა ეს პროექტი განხორციელდეს, - დასძინა ძიძიგურმა.

"იმ შემთხვევაში, თუ ხალხი ოპოზიციის კანდიდატად მე დამიჭერს მხარს, დედაქალაქის მერის არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ," - განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

"კონსერვატორების" მიერ ახალი კანდიდატის წარდგენას ირაკლი ალასანიას პოლიტიკური დაჯგუფების "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერები გამოეხ-

მაურნენ. ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ "კონსერვატორების" გადაწყვეტილებას "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძე დადებითად აფასებს. "კანდიდატების სიმრავლეში ცუდს ვერაფერს ვხედავ. კანდიდატების შეფასება ამომრჩეველმა უნდა გააკეთოს. ჩვენ ჩვენს კანდიდატს მაქსიმალურად ღირსეულად წარვადგინოთ," - განაცხადა კაციტაძემ.

გუშინ მედიასთან კომენტარისას ალიანსის წარმომადგენელმა, "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ "კონსერვატორების" გადაწყვეტილება ნათელი მაგალითია იმისა, რომ ოპოზიციურმა ძალებმა გაიზიარეს "ალიანსის" პოლიტიკა ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით. "მივესალმები კონსერვატორების" ჩართვას არჩევნების პროცესში.

ბაზრძალავა A3 გვერდზე

















# რევოლუ

## ცნობილი ფაისის იურიდიული პრობლემები

ტყუფი The Faces ტურნეში როდ სტიუარტის გარეშე მიდის

ზუსტად 34 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 60-70-იანი წლების ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა ჯგუფმა The Faces არსებობა შეწყვიტა, მისმა წევრებმა სოლო კარიერა წამოიწყეს, ზოგი კი სხვა ჯგუფის წევრი გახდა, თუმცა გავიდა დრო, ბებერი როკერები კვლავ შეიკრიბნენ და საგასტროლო ტურნესაც გეგმავენ. პირველი საცდელი კონცერტი ოქტომბრის მინურულს ლონდონში ჩატარეს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ჯერ კიდევ შეუძლიათ სცენაზე დგომა და დარბაზის აყოლიება. ამ ამბავში უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ The Faces კონცერტზე ვოკალისტის, ცნობილი როკ შემსრულებლის, როდ სტიუარტის გარეშე გამოვიდნენ და გასტროლსაც მის გარეშე გეგმავენ.

ტურნე 2010 წლისთვის იგეგმება. როგორც The Faces-ის წევრი იან მაკლაჰანი ამბობს: "ტურნეს დაწყება დიდი ხანია გვინდოდა, თუმცა ზუსტ თარიღს ვერ ვასახელებდით, რადგან როდ სტიუარტისგან პასუხს ველოდით. ახლა კი ზუსტად ვიცით, რომ ჯგუფში დაბრუნება არ სურს, ამიტომ კონცერტებს მის გარეშე ჩავატარებთ. ამის გაკეთება კი ძალიან გვინდა, რადგან უკვე იმ ასაკში ვართ, რომ შეიძლება ეს ჩვენი უკანასკნელი შანსი იყოს".

ლონდონში ჩატარებულ კონცერტზე The Faces რამდენიმე ვოკალისტის თანხლებით უკრავდა, რომლებიც ერთმანეთს ცალკეული კომპოზიციების შესრულებისას ცვლიდნენ. თუმცა ტურნეს დროს



ამის გაკეთება რამდენადმე გართულდება, ამიტომ ჯგუფი სტიუარტის შემცვლელს ეძებს. როგორც ამბობენ, მისი ადგილი შეიძლება Simply Red-ის ლიდერმა მაიკ ჰაკნელმა დაიკავოს.

The Faces 1969 წელს ჯგუფ Small Faces-ის ბაზაზე შეიქმნა. ცოტა ხანში ჯგუფს ვოკალისტი როდ სტიუარტი და გიტარისტი რონი ვუდი შეუერთდნენ, რომლებიც მანამდე ჯგუფ ბეკის ბენდის შემადგენლობაში იყვნენ. ჯგუფმა 6 წლის განმავლობაში ოთხი სტუდიური

ალბომი ჩაწერა და ჰიტ ალბუმების სათავეშიც არა ერთხელ მოექცა. როგორც მოგვიანებით The Faces-ის წევრები იხსენებდნენ, ჯგუფის ერთიანობის რღვევა სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც ცხადი გახდა, რომ როდ სტიუარტი ერთმნიშვნელოვნად სუპერ ვარსკვლავად იქცა და ამით სხვა მუსიკოსებს ჩრდილავდა. 1975 წელს The Faces-მა არსებობა შეწყვიტა, სტიუარტმა სოლო კარიერა განაგრძო, ხოლო რონი ვუდი "როლინგ სთუნის" წევრი გახდა, სადაც დღემდე აგრ-

ძელებს მუშაობს. საინტერესოა, ასეთი რა ხდება როდ სტიუარტის თავს, რომ ძველ მეგობრებთან ტურნეს გამართვასა და წლების წინანდელი დიდების დაბრუნებაზე თქვა უარი. სიტუაცია საკმაოდ კურიოზულია - მას საკუთარი ადვოკატები უჩივიან. ადვოკატების განცხადებით როკ მუსიკოსს მათი მრავალწლიანი დავალიანება აქვს. როგორც საადვოკატო ბიურო Glaser, Weil, Fink, Jacobs, Howard & Shapiro-ს სარჩელშია ნათქვამი, სტიუარტს და-

ახლოებით ორმილიონიანი ვალი აქვს, თანაც ფუნტ სტერლინგში! საქმე ისაა, რომ 2000 წელს სტიუარტმა ლას ვეგასის ერთ-ერთ სასტუმროში დაგეგმილი კონცერტი ჩაშალა, რის მიზეზადაც ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა. ცხადია სასტუმროს ხელმძღვანელობამ სასამართლოში იჩივლა, მომღერალმა კი ზემოთ აღნიშნული საადვოკატო ბიუროს მომსახურებით ისარგებლა, თუმცა ადვოკატებისთვის ჰონორარი არ გადაუხდია. იმავე ადვოკატების მომსახურებით ისარგებლა სტიუარტმა 2004 წელს სამხრეთ ამერიკაში ჩაშლილი კონცერტების შემდეგაც და მაშინაც, როდესაც იგი საავტორო უფლებების დარღვევაში დაადანაშაულეს. "როდ სტიუარტთან დაახლოებით 20 წელია ვთანამშრომლობთ და უამრავჯერ აღმოვუჩინეთ იურიდიული დახმარება, ბევრჯერ გამოვიყვანეთ საკმაოდ არასახარბიელო სიტუაციიდან. ამიტომ ჩვენ მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდება სრულიად სამართლიანია", - ამბობს ბიუროს წარმომადგენელი. თავად როდ სტიუარტი ამ საქმესთან დაკავშირებით ჯერჯერობით სდუმს. პრესა კი ცინიკურად ხუმრობს იმის შესახებ, რომ 100 მილიონად შეფასებული ქონების პატრონ სტიუარტს საკუთარი რეპუტაციის ასამაღლებლად ორი მილიონის გადახდაც კი არ სურს.

# R2D2 "ვარსკვლავურ გზაში" შეაპარეს

ვინ არიან რობოტების დიდების დარბაზის ბინადრები

მსოფლიოში უამრავი დაპირისპირებული მხარე და მათ შორის გასარკვევი საკითხი არსებობს, მაგრამ ეს შემთხვევა განსაკუთრებულია - უკვე მრავალი წელია "ვარსკვლავური ომებისა" და "ვარსკვლავური გზის" ფანები ერთმანეთს დასახად ვერ იტანენ, მუდამ ცდილობენ თავიანთი საყვარელი ფილმების უპირატესობის დამტკიცებას და თუ ერთმანეთს სადმე ქუჩაში გადაეყრებიან, შეიძლება ლაზერული ხმლითა და ბლასტერებითაც გააჩიონ ურთიერთობა. ახლა კი საქმე უფრო გართულდა - 2009 წელს გამოსული სრულმეტრაჟიანი ფილმის, "ვარსკვლავური გზის" ფანებმა აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთ კადრში, სულ რაღაც ნახევარი წამით "ვარსკვლავური ომების" ცნობილი დროიდი R2D2 ჩანს!

ეს საშინელი "შეთქმულება" რამდენიმე დღის წინ ტექნიკის სიახლეების ცნობილი ბლოგის Gizmodo-ს წევრებმა გაშიფრეს. ამ ბლოგის მომხმარებელს რამდენიმე თვის წინ დავალება მისცეს - "ვარსკვლავურ გზაში" ჯორჯ ლუკასის ცნობილი ფრანჩიზის რომელიმე პერსონაჟი უნდა ეპოვნათ. ბლოგის ერთ-ერთმა მომხმარებელმა კი ფილმის 46-ე წუთზე დაწყებულ სცენაში კოსმოსურ ხომალდ "ენტერპრაიზის" ბუნ-



კერიდან გამოსროლილ ნაგავს შორის R2D2 შენიშნა - ამაზე მეტი ცინიზმი რაღა გინდა! 1:0 "ვარსკვლავური გზის" ფანების ანგარიშზე! ცხადია საინტერესოა, როგორ მოხვდა დროიდი კონკურენტ ფილმ-

ში: საქმე ისაა, რომ "ვარსკვლავური გზის" სპეცეფექტებზე ჯორჯ ლუკასის კომპანია Industrial Light & Magic-ის სპეციალისტები მუშაობდნენ, რომლებმაც გართობა გადაწყვიტეს და აღნიშნულ სცენაში

ლუკასის "აგენტი" შეაპარეს. ერთი სიტყვით, ამ ჩანაფიქრის ავტორები ისევ და ისევ "ვარსკვლავური ომების" გუნდი ყოფილა - 1:0 ლუკასისა და კომპანიის სასარგებლოდ!

რაც შეეხება თავად R2D2-ს, შეიძლება ითქვას, რომ იგი "ვარსკვლავური ომების" ერთ-ერთი ყველაზე "ხანდაზმული", გონიერი, მამაცი და საჭირო პერსონაჟია. პრაქტიკულად არ არსებობს სიტუაცია, როდესაც ეს დროიდი გამოსავალს ვერ პოულობს, შეუძლია გახსნას ნებისმიერი კარი, ამოხსნას დაშიფრული კოდი, იყოს საუკეთესო მეგობარი და ერთგული მეზობლი.

თავდაპირველად R2D2 ნაბუს არმიას ეკუთვნოდა, მისი პირველი მისია კი დედოფალ პადმე ამიდალას ხომალდის შეკეთება იყო. დედოფალთან ერთად იგი პლანეტა ტატუინზე აღმოჩნდება, სადაც თავის საუკეთესო მეგობარ C-3PO-ს და ენაკინ სკაიუოკერს გაიცნობს, რომლის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილადაც იქცევა. მოგვიანებით, როდესაც ენაკინ სკაიუოკერი დარტ ვეიდერად გადაიქცევა და ძალის ბნელი მხარის მსახური გახდება, ჯედაები დროიდის მეხსიერებიდან ლუკ სკაიუოკერისა და ლეა ორგანას ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას წაშლიან. თუმცა ლეა

და R2D2 მაინც იპოვნენ ერთმანეთს - დროიდი ლეას მფლობელობაში გადადის, ხოლო მასში შენახული ინფორმაცია და-ძმას დააკავშირებს.

როგორც ჯორჯ ლუკასი ამბობს, დროიდის სახელი "ამერიკულ გრაფიტიზე" მუშაობისას ხმის რეჟისორისგან გაიგო, რომელმაც გადასაღებ მოედანზე გასცა სპეციფიკური ბრძანება Reel 2, Dialog Track 2. ამ დროს ლუკასი თავის ტრეილერში იჯდა და "ვარსკვლავური ომების" სცენარს წერდა. როდესაც ეს რეპლიკა გაიგონა, მაშინვე ჩაიწერა და მოგვიანებით აბრევიატურად აქცია. ზოგ ესპანურენოვან ქვეყანაში მას არტურიტოს ეძახიან, რაც R2D2-ს გამოთქმის Artoodeetoo-ს მოფერებით ვარიანტია. და ბოლოს - R2D2 მხოლოდ ეკრანზე გამოსაჩენი მეორე ხარისხოვანი დროიდი არ გვევინოთ, იგი იმ იშვიათ კინორობოტთა შორისაა, რომლებიც რობოტების დიდების დარბაზის საპატიო წევრები არიან. მის გარდა ეს ტიტული სხვადასხვა წლებში დაიმსახურეს HAL 9000-მა სტენლი კუბრიკის "2001: კოსმოსური ოდისეადან", "ვარსკვლავური ომების" კიდევ ერთმა დროიდმა C-3PO-მ და "ფუტურამას" გენიალურმა ბენდერ ბენდინგ როდრიგესმა.

# სიახლეები "არტისტარიუმის" აღმოსავლურ სიჟრალეები

## ედვიარ ბარაძე

"არტისტარიუმში" - ამიერკავკასიის მასშტაბით ხელოვნების ყველაზე დიდი საერთაშორისო გამოფენასულ ახლახანს მომხდარი ამბავია.

სექტემბერ-ოქტომბრის კარგ ამინდებთან ერთად, თბილისის კულტურული ცხოვრება საკმაოდ ბოლოქარი გამოდგა. თუმცა, ივენ-ტების შემდეგ შეკრებებზე ხშირად ისმოდა ნუნუნი "ყველაფრის ნახვის ვერ მოსწრების გამო".

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ თბილისი პატარა ქალაქია. აქ ერთ-ნაირი წარმატებით ვრცელდება ქალაქური ჭორებიც და კულტურის აქციების შესახებ ინფორმაცია. თავისუფლად შეიძლება, ერთდრო-სავე ამბავი სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთანაც მოისმინო და ჩა-ცუცქული "კაი ბიჭისგანაც" (სხვა-დასხვა ინტერპრეტაციით რასაკ-ვირველია). შედარებით გველუბავს, მაგრამ ფაქტია, რომ რომელიმე ნიუ იორკელმა ახალგაზრდამ დანერვი-ლებით შეიძლება იცოდეს ყველაფერ-ი ლია ცის ქვეშ გასამართი ფართე-ბის შესახებ, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდეს რა ხდება ლეო კასტელის გალერეაში.

საინტერესოა, ილია ზდანევიჩის "ვისიოჩესტვის" იდეა ხომ არ გას-დედად ლაიტმოტივად (მის შესანიშ-ნავად ორგანიზებულ გამოფენას-თან ერთად) თბილისის ამ დღეების კულტურულ ცხოვრებას?

ყველაფრის მოსწრება და ნახვა კარგია, მაგრამ უმჯობესია თუ ჩვე-ნი დედაქალაქი უფრო თანამიმდევ-რული იქნება გლობალურ მოვლე-ნებთან დაკავშირებით, თორემ უბ-რალაო "თავკომბალობიდან" მეგაპო-ლისობამდე ვერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი.

ხსენებული მოვლენებიდან ერთ-ერთმა ყველაზე მასშტაბურმა, "არ-ტისტარიუმმა" საკმარისი მრავალ-ფეროვნებითა და ცოტა ისტერიკი-თაც მიიქცია ჩვენი ყურადღება. მარ-თლაც, შთამბეჭდავი იყო მსოფლი-ოს 23 ქვეყნიდან მოწვეული არტის-ტების სიმრავლე. მაგრამ, ორგანი-ზატორების მიერ დაანონსებული ინ-ფორმაცია, გამოფენაზე თანამედ-როვე ხელოვნების ყველა მიმართუ-ლების წარმოდგენის შესახებ, ცოტა გადაჭარბებული იყო.


წლევანდელი "არტისტარიუმზე" ძირითადად წარმოდგენილი იყო კონცეპტუალური ხელოვნება. მაგ-რამ, თანამედროვე არტისტებზე დღეს ცოტა განსხვავებული მდგო-მარეობაა. კერძოდ, კონცეპტუა-ლიზმის, არტე პოვერას, ფლუქსუ-ის 60-იან წლებში ჩამოყალიბებუ-ლი იდეოლოგია ინტერპრეტაციის საფუძველია ისეთი ახალი მიმდინა-რებებისთვის, როგორცაა: ნიუ მე-დია არტი, რადიო-არტი, ინტერაქ-ტიული ხელოვნება.

ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ თანამედროვე არტი ტექნოლო-გიებზე აკეთებს აქცენტს და ახლა მათი საშუალებით ცდილობს ხე-ლოვნების ძირითადი პრინციპების ცხოვრებაში გატარებას.

"არტისტარიუმში" ამ მიმართუ-ლებით საინტერესო უნდა ყოფილი-ყო "ნიუ არტ გალერეა/კაფეში" მოწყობილი გამოფენა, რომელიც წარმოადგინა "მედია არტ ფერმამ". თუმცა, რამდენადაც ნოვაციის შემ-ცველი ამ ჯგუფის სახელწოდება, იმდენად ტრადიციული იყო მათი შემ-მოქმედება: ძირითადად ფოტოგრა-ფია და ძალზე მოკრძალებული, სამ-განზომილებიანი გრაფიკული გამო-სახულებები გიორგი მახნიაშვილის



ნუბაქეტ ეკიჩი - სვენები პერფორმანსიდან.



გია რიგვავსის მისიური.

შესრულებით.

უფრო საინტერესო იყო წარმო-შობით ლიტერული, ჩეხეთში მცხოვ-რები ივარის გრაველის "ხულიგან-ური" ინიციატივა ნიუ მედია არტის თემაზე. მისი პროექტი, "ჩემი გაზე-თი", წარმოადგენდა სახალისო არ-ტისტულ ინტერვენციებს ცნობილი ადამიანების, პოლიციელების, კორ-პორაციების ლოგოების ფოტოებზე. მაგრამ, რადიო "მწვანე ტალღის" ეგიდით განხორციელებული, არ-ტისტ მამუკა ჯაფარიძის პროექტი "რადიოჰეტი", ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული აქცია იყო "არტისტე-რიუმზე". უპირაძი იქნება თუ ამ პროექტზე უფრო ვრცლად ვილაპა-რაკებთ, ვინაიდან მასში გამოკვეთი-ლი იყო რამდენიმე ისეთი ტენდენ-ცია, რაც აშკარად აკლდა წლევან-დელ საერთაშორისო გამოფენას.

"მწვანე ტალღისა" და მამუკა ჯა-ფარიძის თანამშრომლობა უკვე თვეებს ითვლის. ამ ხნის განმავლო-ბაში საფუძველი ჩაეყარა ინიციატი-ვას, რომელიც სიახლეა ქართული თანამედროვე ხელოვნებისათვის. არტისტისა და რადიოს კოლაბორა-ციის შედეგია პირველი ქართული რადიო-არტ პროექტი "ცის ფქვი-ლი", რომელიც წარმოადგენდა წყლის ნისქვილების ხმების ჩანა-წერს და ლაივ-აქტის სახით გადაი-ცემოდა 22 აპრილს ევროპის პარტ-ნიორ რადიოსადგურებთან ერთად.

ბერძენი ფილოსოფოსის პლა-ტონის მოსაზრების თანახმად, ნე-ბისმიერ ობიექტს გააჩნია საკუთარი ტალღები და რხევები, რომლითაც ის მუდმივად არსებობს სივრცეში და სხვა განზომილებებში.

სწორედ საგნების ეს ბუნება გა-

მოიყენა მოტივად მამუკა ჯაფარი-ძემ მისი ახალი პროექტის, "რადიო-ჰეტის" განსახორციელებლად. ეს უკანასკნელიც, "ცის ფქვილის" მსგავსად, საერთაშორისო მასშტა-ბით დაფიქსირდა (თბილისის "მწვა-ნე ტალღა", "რომის რადიო" ამისნე-ტი" და მადრიდის "ვალეკასი"). "რა-დიოჰეტი" ორი ნაწილისგან შედგე-ბოდა: პერფორმანსი და ლაივ-აქტი. პერფორმანსი წარმოდგენილი იქნა აბანოთუბანში FM რადიო მოდულა-ტორების მეშვეობით, რომლებიც გადასცემდნენ ხმებს თბილისის, რომის და მადრიდის საზოგადოებ-რივი თავმჯდომარის ადგილებიდან. პერ-ფორმანსში მონაწილეობას იღებდა შეკრებილი საზოგადოებაც. მსურ-ველები ატარებდნენ უზარმაზარ, ყვითელ მუყაოს ქუდეებს, სადაც ჩა-მონტაჟებული იყო სასმენი აპარატი. სამივე ქალაქის ხმა ხან ერთად ისმი-ნებოდა, ხანაც ცალ-ცალკე შეგეძ-ლებოდა თავი წარმოგედგინა რომისა ან მადრიდის ქუჩებში, ოღონდ აბა-ნოთუბანის ფონზე, რასაკვირველია.

პერფორმანსის მიმდინარეობისას ყვითელი ქუდეები ხანდახან შეჩერ-დებოდნენ ან სხვა მიმართულებით იწყებდნენ ხეტიალს. ეს იმის ნიშანი იყო, რომ რომელიმე მათგანი "სა-უნდ ვაკუუმში" აღმოჩნდა და გამწა-რებით დაუწყებდა დაკარგულ ტალღებს. ეჰ, შეჩვეულის გადაჩვევა რომ გვეძნებდა, თორემ, დიდი ამე-რიკელი კომპოზიტორი ჯონ კეიჯი რომ ყოფილიყო იმ დღეს აბანოთუბ-ნის აქციაზე, დარწმუნებული ვარ გამუდმებით "სიჩუმის ტალღაზე" იჯდებოდა. სიმართლეს გეტყვით, რომი-მადრიდი-თბილისის კაკაფო-ნიის შემდეგ ჩამოვარდნილ სიჩუმე-ში მართლაც შეიძლება რაღაც "გაი-გონოს" გულისყურითადაა ადამიანმა.

ინტერაქტიული ხელოვნება ვახ-სენეთ და უნდა აღინიშნოს, რომ "რა-დიოჰეტი" ამ თვალსაზრისითაც სა-ინტერესო იყო "არტისტარიუმზე". ინტერაქტიული არტი ეფუძნება შემ-მოქმედებით პროცესში დამთვლი-ერების მონაწილეობის პრინციპს, სადაც ტექნოლოგიების გამოყენე-ბით, აუდიტორიის მოქმედება მი-მართულია ხელოვნების ერთობლი-ვი ნიმუშის შესაქმნელად. ეს პრინ-ციპი კარგად ეხმიანება "ახალი ხე-ლოვნების მესიად" მონათლული გერმანელი მხატვრის იოზეფ ბოისის იდეოლოგიას, რომელიც მთელი თა-ვისი ცხოვრება ცდილობდა "აღედ-გინა დაკარგული მთლიანობა ბუნე-ბისა და სულისა, კოსმოსისა და ინ-ტელექტისა".

აბანოთუბანის აქციაზე საინტე-რესო იყო სამხრეთკორეელი არტის-

ტის პარკ ბიონგის "ჩართულობა". მე პირადად, არცერთი მისი აქცია არ მინახავს, მაგრამ საერთო წარმოდ-გენა მის შემოქმედებაზე გამოფენის კატალოგმა შემიქმნა. ბიონგი თავის პირდაპირ მოვალეობად აცხადებს, რომ "სახალხო არტპროექტები პირ-დაპირ კავშირში უნდა იყოს ხალხ-თან", რათა არტისტთან ერთად ყვე-ლას შეეძლოს თავის თავში არსებუ-ლი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება.

თუმცა, დემოკრატიულობის პრეტენზიის მქონე ეს მოსაზრება ცოტათი აგრესიულ ხასიათს ატა-რებდა, როდესაც აბანოთუბანში ბი-ონგმა ყველა რადიო-ქუდი მოიქცია ხელში და ამ გზით ცდილობდა დო-მინაციას. პერფორმანსის შემდეგ კი, რადიო "მწვანე ტალღის" მიერ გა-მართულ ვეულუბაზე, სულაც ვე-ხებზე ქუდედამოცმული მოგვევლინა. თუმცა, საერთო მდგომარეობით ყველა ისეთი კმაცოფილი იყო, რომ კორეელთან "კარატე" არავის და-უნყია. დარწმუნებული ვიყავით: იმ დღეს ყველა გზა თუ არა, ყველა ტალღა ნამდვილად აბანოთუბანზე გადიოდა.

ალბათ, "არტისტარიუმის" ჭეშ-მარიტი ვარსკვლავი იქნებოდა თურქული წარმოშობის გერმანელი არტისტი ქალი ნუბაქეტ ეკიჩი, მისი პერფორმანსების "ლაივში" ნახვის სა-შუალება რომ ჰქონოდა ქართველ დამთვლიერებელს. ამის მაგივრად, ექსცენტრიულმა თურქმა ქალბა-ტონმა, გოეთეს ინსტიტუტში საკუ-თარი შემოქმედების რეტროსპექტი-ვა შემოგვთავაზა, ჰანს შეიბის "კერ-პთაყვანისმცემლურ" სკულპტურ-ებთან ერთად. ძნელია არ დააფასო ეკიჩის თავდადება ხელოვნების მი-მართ, როდესაც უყურებ თუ როგო-რი ნვალებით შემოიმტრევის ტანზე 150 კილოგრამან თაბაშირის ყალიბს ან რა ნარბუქურულად იტანს 37 სანთლის სათითაოდ ჩამოლვენთვის ნახევრადმიწველ სხეულზე. თუმცა, იმავე ინსტიტუტში ნაჩვენები ეკიჩის ვიდეო-"სახელები", მხოლოდ ხალი-სიან განწყობილებას თუ შეუქმნიდა მხახვებს. რაც მისი "მძიმე" პერფო-მანსების ფონზე საკმაოდ კონტრას-ტულად გამოიყურებოდა.

"არტისტარიუმზე" სიახლეების ძებნის პათოსს რომ არ გადაუხვიო-თ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ საქართველოში მოღვაწე გერმანე-ლი არტისტი, ჰანს ჰაინერ ბური და მისი ახალი ხელოვნების მანიფესტი (თრონს მანიფესტო). რომელსაც დაინტერესებული ადამიანი ძნელად თუ მიაგნებდა, ისე იყო მიკარგული ე.წ. "გროზნოს ბიენალეს" ალბო-სავლური სულისკვეთებით მოწყო-ბილ ექსპოზიციებს შორის. როგორც ჰერ ჰანსი გემოდვრავს: "ჩვენი ცნობიერება გარდამავალი ცნობიე-რებაა... თანამედროვე ციფრული ტალღების ცუნამი კონკურენციას უწევს ჩვენს რეალობას... ჩვენ უნდა შევარყიოთ მსოფლიო ახალი გამო-სახულებებით". დამითანხმებით, ჭეშმარიტად დიდი ამბიციას და პა-სუხისმგებლობა მომავლის წინაშე. მაგრამ, ყველაზე მაგარი მაინც ბო-ლოსთვის შემოვიწახე: "ვისაც აქვს ძალაუფლება გამოსახულებებზე, ის ფლობს ძალაუფლებას ხალხზე". თუ აქამდე მშვიდად გრძობდით თავს, ამის შემდეგ შიშით შეიძლება და-უნყოთ თვალთვლება ბურის მართ-ლაც უმადლესი ხარისხის ციფრულ კოლაჟებს ("ტრონი", "შტურმი", "კი-ვილი"), ვინძლი მის ისედაც მილი-ტარისტულ ფიგურებს სადმე ავაღ-სახსენებელი ფაშისტური "ბორჯღა-ლი" არ მოუჩანდეთ.

პირადად ჩემთვის, გია რიგვავს

ხელოვნებასთან შეხვედრა სასია-მოვნო ამბავი იყო. მითუმეტეს, რომ ავსტრიაში მოღვაწე ცნობილი ქარ-თველი არტისტის შესახებ ინფორმა-ცია მხოლოდ კატალოგებიდან მქონ-და. "ქარვასლაში" გამოფენილი რიგ-ვავას თეორი მათხური წარწერით: I am measure of your intelligence, სი-ახლეების ძიებაში კიდევ ერთი ყარ-გი აღმოჩენა იყო. ავტორი ყველას აძლევდა უფლებას ტანზე მოერგო და ეტარებინა მათხური ისე, რომ დარდი არ ჰქონოდა ნამუშევრის სა-ავტორო უფლებაზე. ასეთი ფესტი თანამედროვე ხელოვნებაში კარგა-დაა აპრობირებული ნიუ მედია არ-ტისტების მიერ და ცნობილია ოპენ სოურცე-ს პრინციპით.

რაც შეეხება "სოროსის ფონდში" მოწყობილ გამოფენას, თუ მას არ-ტის თანამედროვე ტენდენციების ჭრილში განვიხილავთ, მაშინ ის მკვეთრად კრიტიკულ დამოკიდებუ-ლებას იმსახურებს. მითუმეტეს, რო-ცა წარმოდგენილი ნამუშევრების ავტორებად "ახალგაზრა ქართველი მხატვრები" გვევლინებიან. კონცეპ-ტუალიზმის იდეით შეპყრობილ ახალგაზრდებს, რატომღაც მოურჩე-ვიათ, რომ ხელოვნების ამ მიმართუ-ლებაზე სამუშაოდ საკმარისია საღე-ბავები და ტილო, თუმცა ალაგ-ალაგ მასალის მრავალფეროვნების მიზ-ნით ლურსმანი და ფიციური ჭარბად უხმარიათ. ის კი არა, ერთ-ერთ მათ-განს ზეთის საღებავების ფონზე ბზიკის ბუდეც ჰქონდა გამოტანილი, ლათინური ხელნაწერით შესრულე-ბულ უზარმაზარ ფილოსოფიური სენტენციების შემცველ ტექსტთან ერთად.

მართალია, ძალზე სავალალოა ჩვენი მდგომარეობა ტექნოლოგიე-ბისა და მედია-ინოვაციების განვი-თარების თვალსაზრისით, მაგრამ მაინც ძნელი წარმოსადგენია, რით ვერ აითვისეს ახალგაზრდა ქართ-ველმა მხატვრებმა ელემენტარული კომპიუტერული print, copy, paste ოპერაციები, რათა უფრო თანამედ-როვე და საინტერესო გაეხადათ სა-კუთარი ნამუშევრები.

წლევანდელი საერთაშორისო გამოფენის ეპიცენტრი "ქარვასლა" იყო, საქართველოს ისტორიის მუ-ზეუმი და თანამედროვე ქართული ხელოვნების "მოწყალე დედა" უკვე დიდი ხნის განმავლობაში. გამოფე-ნაში მონაწილე არტისტების სიმრავ-ლეზე წინათაც ვისაუბრეთ, მაგრამ, სრული შთაბეჭდილების შესაქმნე-ლად ექსპოზიციებით გადასვებული დარბაზები საკუთარი თვლით უნ-და გენახათ. სრული პასუხისმგებ-ლობით გეტყვით: ცოტა მეტი ნამუ-შევრის შემთხვევაში "ქარვასლის" საგამოფენო სივრცე შეიძლება გა-დაქველდეს ერთ უზარმაზარ ხე-ლოვნების ნიმუშად. სადაც არ იარ-სებებდა საზღვარი სკულპტურასა და ვიდეოს, საუნდ-არტსა და ფო-ტოგრაფიას, კონცეპტუალურ ტექს-ტსა და ფერწერას შორის. ასეთი ტი-პის აქციაში მონაწილეობა დიდი გა-მოცდილება იქნებოდა არტისტები-სათვის უნიკალური ხელოვნების ნი-მუშის შესაქმნელად.

მაგრამ, ჩემს ამ წარმოსახვას მხოლოდ ირონიაში თუ არ ჩამომარ-თმევთ, მაშინ, უპირაძი იქნება ყვე-ლამ ერთად მოვთხოვთ შესაბამისი კომპიუტერული ინსტიტუციებს, მეტი ყურადღება მიაქციონ ჩვენს ყველა-ზე დიდ ხელოვნების ფორუმს, რათა მომავალში უფრო მოხერხებულად შევძლოთ დათვალეურება, გართო-ბაც და ანალიზის გაკეთებაც.

# ნეკროპიუსის "იდოტი"

თამარ კიკნაველიძე

რატომ იცნობს ვილინიუსის თეატრ Meno Fortas-ს ყველა, ვისაც თეატრალური ხელოვნება უყვარს და ამ დარგში მუშაობს? ამას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: უპირველესად, Meno Fortas-ის სამხატვრო ხელმძღვანელი, სახელგანთქმული ეიმუნტას ნეკროპიუსი და მისი შემოქმედებითი დასი, რომელიც პროფესიონალებისგან შედგება და წარმოადგენს ძალას, რომელსაც ხელეწიფება ყველაფერი, პროდუქტი, რომელსაც ქმნიან, როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე დრამატურგიაზე დაყრდნობით და ეს ყველაფერი ისეა "შეფუთული", რომ პროფესიონალების გარდა, მაცურებელსაც ხიზლავს და კიდევ, შემოქმედებითი აქტივობა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია და გულისხმობს გასტროლებს მსოფლიოს მასშტაბით, აქტიურ მონაწილეობას თეატრალურ კონკურსებსა და ფესტივალებში. ამის მაგალითი იყო ცოტა ხნის წინათ თეატრს Meno Fortas-ის საქართველოში ჩამოსვლა და თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობა - 3 ოქტომბერს მარჯანიშვილის თეატრში მათ ეიმუნტას ნეკროპიუსის გახმაურებული დადგმა "ფაუსტი" წარმოგვიდგინეს.

არ გასულა ორი თვეც და რუსულენოვანმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 14-16 ნოემბერს, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალ "სტანისლავსკის სეზონის" ფარგლებში, ციორე თეატრში შედგებოდა ეიმუნტას ნეკროპიუსის "იდოტის" მოსკოვური პრემიერა. აღსანიშნავია, რომ ლიტველ რეჟისორს სტანისლავსკის სახელობის პრემია ყველაზე სპატიო ნომინაციაში - "მსოფლიოს თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის" - ერთხელ უკვე გადაეცა.

რას წერენ ნეკროპიუსის ახალ დადგმაზე რუსეთში, სადაც მისი სპექტაკლების ნახვას ყოველთვის ინტერესით ელოდებიან? ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ის რუსეთის სახელმწიფო თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის კურსდამთავრებულია და იყო გამოჩენილი რუსი რეჟისორის ანდრეი გონჩაროვის მოწაფე. ნეკროპიუსი მუშაობდა კაუნასისა და ვილინიუსის თეატრებში, 1998 წელს კი გახ-



სნა საკუთარი თეატრი, Meno Fortas.

ეს წარმოდგენა იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ რეჟისორმა დოსტოევსკის ნაწარმოების გასცენიურებას ხელი პირველად მოჰკიდა. "კითხვაზე, რატომ შეაჩერა არჩევანი "იდოტზე", რეჟისორმა უპასუხა: "ეს შეიძლება ყოფილიყო დოსტოევსკის სხვა რომანიც, მაგრამ მიმაჩნია, რომ "იდოტი" ყველაზე მსუბუქი რომანია მწერლის ურთულესი ნაწარმოებებიდან. ამის გარდა, ის უფრო ხელსაყრელია გასცენიურებისა და ასევე ენაზე გადატანის თვალსაზრისით...". რაც შეეხება "იდოტის" მთავარ გმირს, ამაზე ნეკროპიუსმა აღნიშნა: "მიშკინის მსგავსი ადამიანები ჩვენს ცხოვრებას ალამაზებენ. ასეთები ახლაც არიან, მაგრამ მათ ვერ ვხვდებით და ხელსაც კი ვერ ვხვდებით, რადგანაც საზოგადოებას მათი მიღება არ სურს". კითხვაზე, იზიარებს თუ არა რეჟისორი დოსტოევსკის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სიღამაზე გადაარჩენს სამყაროს, მან უპასუხა: "ეს ძალიან ჭკვიანური აზრია და მას მთლიანად ვიზიარებ. დღევანდელი რუსეთი, ვფიქრობ, რომ უნდა გვახსოვდეს

ის, რომ ყველაფერი რაც ხდება სასიკეთოდ, თუ საუბედუროდ, მაინც კანონზომიერად ვითარდება. ჩვენ დროს ვერ ვუხელმძღვანელებთ".

რუსულენოვან პრესაზე დაყრდნობით ვიცი, რომ ეიმუნტას ნეკროპიუსის წარმოდგენისადმი ინტერესი იმითაც დადასტურდა, რომ მასზე დასასწრები ყველა ბილეთი გაიყიდა და მისი ნახვის საშუალება ბევრს არ მიეცა. რა დაინერა უშუალოდ სპექტაკლზე? ის, რომ ნეკროპიუსის სპექტაკლებს, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, გამოარჩევს თვისება: მათი შედარება მხოლოდ ისევ და ისევ ნეკროპიუსის სპექტაკლებთან შეიძლება. რამდენად დიდებულიც არ უნდა იყოს თანამედროვე თეატრალური ღვთაებების პანთეონი, ნეკროპიუსი მაინც მთავარი დემიურგია. მისი "იდოტი" ბევრად არ განსხვავდება ოსტატის შედევრებისგან, მათ შორის, სრულიად გრანდიოზული "ფაუსტისგან".

პირველი და უმთავრესი, რაც "იდოტში" არ არის, მაგრამ, თითქმის, ყოველთვის თანსდევს მის ნაწარმოებებს, ეს განცდაა იმისა, რომ მინის ნაწილი, რომელზეც სასცენო ისტორია თამაშდება, კოსმოსს

უდრის. მცდელობა იყოს ქრისტე ისე, რომ არ ფლობდეს მის ღვთაებრივ ბუნებას, რომანის მთავარი გმირის - თავადი მიშკინის არსს წარმოადგენს. ეს თემა ნეკროპიუსისთვის უმნიშვნელოვანესია. მის ახალ ნამუშევარში, შეიძლება ითქვას, რომ გენიალურად არის გამოვლენილი დოსტოევსკისთვის უმთავრესი - მიშკინის ასოციაციებს ქრისტესთან. თავადის როლს ოსტატურად ასრულებს ცისფერთვალება, ნერვიული სახით გამორჩეული ახალგაზრდა, მსახიობი დაუმანტას ციუნისუ. ის არის ბიჭი, რომელსაც "ცხოვრება ექვარება და ესწრაფვის გრძნობას".

რომანი ძლიერ შეკვეცილია. მოქმედი პერსონაჟების წრე სასიყვარულო ოთხკუთხედზეა - მიშკინი, ნასტასია ფილიპოვნა, როგოჟინი, აგლაია - დაყვანილი. ეპანჩინებისა და ივოლგინების ოჯახის სპექტაკლში უფრო იმიტომ მონაწილეობს, რომ სიუჟეტური ხაზის სიმკვეთრე შეინარჩუნოს.

ნეკროპიუსისთვის ახალგაზრდობა ჭრილობაა, რომელიც მწვავედ რეაგირებს ყველაფერზე, რაც სამყაროში ხდება. რეჟისორის სხვა სპექტაკლებთან შედარებით, "იდოტი" უფრო ლარიბია მეტაფორებით., რომლებიც ყოველთვის გამახსოვრდება. "და მაინც - ასკენის გაზეთი "იზვესტიას" ჟურნალისტი - ამ არც თუ ბოლომდე სრულყოფილ ნამუშევარშიც კი იგრძნობა გენიოსის სუნთქვა. ისე მოხდა, რომ მოსკოვში, თითქმის, ერთდროულად ჩამოვიდა "იდოტიც" და კიდევ ერთი გამოჩენილი ლიტველი რეჟისორის - ოსკარას კორშუმოვასის "ჰამლეტი", რომელიც ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. აქ გამოიკვეთა, რამდენად განსახვავებულია "ჰამლეტისა" და "იდოტის" გაუნონასწორობა...

Meno Fortas-სმა "იდოტი" ვერ სანკტ პეტერბურგში, ფესტივალზე "ბალტიისკი დომ" აჩვენა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩავიდა მოსკოვში, სადაც ოთხ მოქმედებიანი წარმოდგენა, დაახლოებით, 5 საათს გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზი ბოლომდე სავსე არ დარჩენილა, მაცურებელი არ გამოაკლდა მოვლენას, რომელსაც ნეკროპიუსის წარმოდგენები ქმნიან.

## კომენტარები მთავარზე



ქენია

ლამა ბუღაძე

წინა პარასკევს რომ ჩვენს მედიაში დაბანაკებულ რუსეთზე ვნერდი, ნამდვილად არ მეგონა, რომ ერთი კვირის მერეც ამ თემასთან მომინებდა მიბრუნება, თუმცა გუშინწინდელმა საინფორმაციოებმა ისევ გასულ კვირაში (ანუ პუტინის რუსეთში) დამაბრუნეს და კიდევ უფრო განმიძტკიცეს იმის რწმენა, რომ ქართველები არსად არ გაუშვებენ რუსეთს.

ჩვენი ტელემედიის მთავარი თემა (ანუ როგორც ინგლისურენოვანი ინტელიგენცია იტყვობდა - მთავარი ნიუსი) გუშინწინ ვილაჯ ლოკებშესიგებული, რომელიმე მღვდელის მსგავსი გარეგნობის მქონე რუსი ჩინოვნიკის დაბადების დღე იყო.

ისევ გვერდით მოვიტოვეთ პოლიტ-პლანეტა, ისევ დავერთო რუსულ ინტერნეტ-საიტებს და უმნიშვნელოვანესი, უმთავრესი, უაქტუალურესი და სასიციოცხლოდ აუცილებელი ნიუსიც აღმოვაჩინეთ: ვილაც მღვდელის მსგავსი ჩინოვნიკს ჩვენი მაზრებელი პუტინი სწევია იუბილზე, ქართველების სადღეგრძელო შეუსვია და ბრძანებაც მიუცია იუბილარისთვის, შენ უნდა განაბრწყინო და გააერთიანო საქართველო.

ქენიას (ალბათ, ასე იხსენიებენ მას ქართველი რუსები) დაბადების დღეზე ჩვენი სანყალი და დაბნეული თანამოქალაქეებიც მიუხედავად (მოსკოვში მცხოვრები შემინებულ-უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველი ინტელიგენტები), რომელთაც ერთსა და იმავე შეკითხვას უსვამდნენ მოსკოვში მშობლივი ქართველი პოლიტ-ჟურნალისტები: "რა თქვა თავის სადღეგრძელოში პუტინმა?"

და მართლაც: განა არის რამე სხვა ამაზე მნიშვნელოვანი?

ღმერთო, ნეტავ რა დასცდა პუტინს! ო, რა რთულია ამ სადღეგრძელოს არსში ჩანვდომა და როგორი დიდი პროფესიონალი უნდა იყოს ის ჟურნალისტი, რომელიც ამ სადღეგრძელოს გაცოცხლება-გამოძიება-შეცნობით გადაფარავს იმ დღის პლანეტის პოლიტ-ამბებს... მთელი დღე ამ სადღეგრძელოზე გვიყვებოდნენ...

შმიშთ, ალტაცებითა და ერთგვარი მაზილებელი პათოსით გვატყობინებენ, როგორ იმღერეს ყველაფრით დამფრთხალება ქართველმა რუსმა მომღერლებმა თავიანთი საშინელი რუსული რომანსები ("ვაიმე, აბა, როგორ ვეცუდი ვენიას უარს, ბოლო-ბოლო შენიაა, ვილაც ხომ არა!"), რა დროს ნავილა დაბადების დღიდან მერე შემინებულ-დაბნეული ქართველი, რა მოისმინა და რისი იმედი მიეცა მესამე დამფრთხალ-მორიდებულ ქართველს და ა. შ. და ა. შ.

ამ იდიოტურ აბღა-უბღას გვიყვებოდნენ მთელი საღამო!

რაც მთავარია, ვერაფრით მივხვდი, რა ინფორმაციის მონოდებას ცდილობდნენ ჩვენი ჟურნალისტები: პუტინს რომ აფერისტული სადღეგრძელოების თქმა უყვარს? რომ დიდმა ნანიმ თავისი სიმღერით შეარია პუტინი და საქართველო? რომ 80 წლის ქენია მთელ მსოფლიოზე მნიშვნელოვანია? რომ ჩვენმა პრეზიდენტმაც უნდა შესვას (ყველას ვინაზე) ასეთი სადღეგრძელოები? რა უნდოდათ, რა? რისი მოყალა უნდოდათ! თუ მოყალა კი არა, უბრალოდ, იმ მნიშვნელოვან სუფრაზე უნდოდათ ჯდომა (რადგან ჩვენი პოლიტ-ჟურნალისტებისათვის სწორედ ასეთი პოლიტ-სუფრებიდან შეიძლება სამყარო), რუსულ-ქართული სიმღერებისა და სადღეგრძელოების სმენა, წამოხტომა მერე და ხელ-ფეხის გაქნევა ქენიას საპატივცემულო დაკრულ ლიზინკაზე... მთავარი ქართველი ხომ მაშინა ყველაზე ბედნიერი, როცა რუსულ რესტორნულ სიმღერებზე ცეკვავს...

ეს კი მეტისმეტად მწყინს, რომ ამ იუბილზე იყვესი ილუმენი, მამა ვსელოდი არ იყო მინებული - ასე რომ ყოფილიყო, ჩვენი პროფ. ლადარია ხომ აუცილებლად გაგვიშანსალებდა ერთ პანია და ბრაზიან წერილს, მაგრამ იქ სადაც რუსი ილუმენები არ არიან, როგორც ჩანს, არც ჩვენი გაზეთის პერვერტ პროფ.-ს ესაქმება რამე...

## ვის ერბო "აზიური ბუკერი"?

ზონგ კონგის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ლიტერატურული პრემია - The Man Asian Literary Prize უკვე სამი წლია. ამ აზიური პრიზის მიზანი მათივე კულტურის მნიშვნელობის გაზრდა და მსოფლიო მასშტაბით გავრცელებაა.

აღნიშნული პრიზი პირველად, 2007 წელს, 61 წლის ჩინელმა მწერალმა, ციან რონგმა მიიღო რომანისათვის Wolf Totem. რომანით, რომელშიც მომთაბარეთა ცხოვრების წესია

გადმოცემული, მწერლის დებიუტი შედგა. წიგნი პირველად მხოლოდ ჩინეთის ბაზრისათვის განკუთვნილი ტირაჟით, 20 000 ეგზემპლარად დაიბეჭდა. მოგვიანებით კი მისი 2 მილიონზე მეტი ასლის გადაღება გახდა აუცილებელი.

მომდევნო, 2008 წელს, ჯილდოს მფლობელი ფილიპინელი მწერალი, მიგელ სუხიკო გახდა რომანისათვის - Ilustrado. მასში ფილიპინელთა ისტორია და საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა არის გადმოცემული.

ახლა კი, 2009 წლის მიწურულს, "აზიური ბუკერი" ახალი მფლობელი ჰყავს: ის ჩინელ მწერალს, სუ ტუნის გადაეცა რომანისათვის The Boat Of Redemption. მასში ჩინელი კომუნისტური პარტიის წევრის ისტორიაა მოთხრობილი. მთავარი პერსონაჟი თავს ისე წარმოაჩენს, როგორც ნამდვილი გმირი. ტყუილის გამჟღავნების შემდეგ კი იმალება და რადიკალურად ცვლის თავის ცხოვრებას: შვილთან ერთად საცხოვრებლად ჭაობიან ადგილას გადადის და მდინარის პირას სახლდება.

სუ ტუნის საზოგადოება გახმაურებული რომანით, - "უკანასკნელი იმპერატორით" იცნობს. მის მიერ 2008 წელს დაწერილი მოთხრობა - "ცოლი და გადასახადები" კი საფუძვლად დაედო ჟან იომის ფილმს "აილე ნითელი ფანარი."

მწერლის ახალი წიგნი უკვე ითარგმანა ინგლისურ ენაზე. აღსანიშნავია, რომ პრიზი, თავის ფარგლებში, დაწესებულ ფულად თანხას მოიცავს: მწერალს 10 000 ამერიკული დოლარი, ხოლო თარჯიმანს - 3000.



**ზნავე საზოგადოებრივი**

13 ნოემბერს მეტეხის ხიდზე ასი ათას მდუმარე ადამიანთან ერთად სავედრებელ პარაკლისზე დასწრებამ ათთა ბევრთა ქართველთა ზეციურ მხედრობასთან შეერთების სურვილი დაბადა. ხვარაზმელთაგან წამებული ასი ათასზე მეტი ქართველი ზეციურ საქართველოში 1227 წლის ლეონოსისთვის ოცდამეთერთმეტე დღეს გადავიდა.

პარაკლისზე მდგარი, კეთილგანწყობილი თანამემამულეებით გარშემორტყმული, მათი სუნთქვით გამთბარ გარემოში მყოფი, ერის სულიერი მამის სიტყვით დალოცვილი, მართლაც განიცდი ტადრისულ სიმშვიდეს და გონების თვალსაც გეხსნება. გული და სული კი გვენება მეცამეტე საუკუნის ჟამთააღმწერელის სიტყვებზე: "ქვეყანა საქართველოსა მიეცა განსაყვანელად ამის ძალითა, რამეთუ დაუტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყვარული, სინდობა, სიმართლე და ამის წილ მოიპოვეს ამპარტავნება, ზაკვა, შური, სიძვანი, უწესობანი". ეს მამინ, როცა დავით-თამარის სა-მოთხიხებური ოქროს ხანა სულ რაღაც ორიოდ წლის ჩავლილი იყო და გულანთებულ კაცს შეიძლება დავითის ხმის ექოც გავგონა თრიალეთის გრეხილ ხევებში, თამარის სურნელით მობიბინე ყვავილოვან მდევლებზე. მაგრამ რად გინდა, თუკი შენუხებული

ისტორიკოსი ესრეთ ლაღდება: "თამარის მოადგილე მეფეთ ქვეყნისთვის და ქრისტიანობისთვის ზრუნვა არ ეხალისებოდათ. ეს იყო მიზეზი, რომ ხალხის მოძღვარი და მსახურნი მოკლებულნი მეფეთ წყალობას და მფარველობას ზნეობითად დაცენ და შეიქმნ ანგაარ და ვეცხლ-მოყვარე."

როგორც ხდება ხოლმე, ყველა თავის გულსნმისყოფით ისჯება, მათ შორის ერთიც და საქართველოსაც გამოუჩნდა იმ დროისთვის უძლეველი მტერი - მონღოლები. მეფე ლაშა-გიორგი მათთან ბრძოლას შეენირა. მისი და რუსუდან დედოფალი მონღოლებისგან დევილ ჯალალ-ედ-დინს ვერ გაუმკლავდა. ამ უტიფარ ჯალალ ხვარაზმეპს, მონღოლებს რომ გამოქცევა და დედა-ბუდიანად, სომხეთი მოუხრებია, სპარსეთში ძალები მოუკრებია და თბილისისკენ დაძრულა, რუსუდან დედოფლისთვის შეუთვლია, ქმრად დამისვი, საქართველოს მეფედ გამხადე და მონღოლებს გაერთიანებული ძალებით ვძლიოთო. ხვარაზმელებთან პირველ ბრძოლაში ქართველებმა იმარჯვეს, მაგრამ ღამით თბილისელმა სპარსელებმა გვილატეს, კარის მცველებს ქურდულად მიეპარნენ, დახოცეს და თბილისის კარიბჭე გააღეს. ერთი მითხარი, ძმაო, მახარე, რად გვილატეს სპარსელებმა, - გონებით ვეკითხები ერთ-ერთ ათთა ბევრთაგანს. - მაგ სპარსელებს რას გაუგებ, იღრჩებთან უშნოთა. დავით მეფემ რო

# ხილი

თბილისი არაბებს წაართვა და მაგათ-გან ამდენი ხნის ნატანჯი ქართველობა დაიხსნა, მუსულმანები დაინდო კიდეც და დიდი პატივიცა სცა. ჩვენ მწვადის მჭამელ მამა-პაპას უთხრა, ცხვირნი ღორი არ დაუკლათო. იქიდან მოყოლებული სუ ერთგულები იყვნენ, მაგრამ ერთგულებასაც მაგარი ხელი ჰყვარებია, თორე ქვიშასავით იბნევა, თურმე, თითებშუა და მიდის კაცი ხელიდან. ჩვენი მეფე ლაშა-გიორგი დიდი გულადი ვინმე კი იყო, მაგრამ ერთობა არ ჰქონდა მეფის კარზედა. დიდებულებს ყურს არ უგდებდა, ვილაც "რინდები" კი შეიამხანავა. ზოგი ამბობდა ფილოსოფოსები არიანო, ზოგიც - ლოთი-შფოთებიო. ძალიან კი უნდოდა, მაგრამ ეგრე რას გაავრძელებდა დიდი ბაბუის საქმესა? რუსუდანმაც ვერ გასწია თამარობა და აიშვეს სპარსელებმა. წავიდნენ და ჯალალ-ედ-დინის მუჭაში მოექცნენ. მამინ ის ურჯულო მონღოლებზე იყო გაბრაზებული და მაგრა ჰქონდა მუშტი შეკრული. ნადავლის ნაწილსაც შეპირდა ჩვენს ორგულ სპარსელებს. სპარსელების ღალატი თუ გაგვევირვებია, ჩენს ხალხს რაღა ეცა, რომ დაინყეს მთვრალობა, სტომაქის გამოზრდა, სხვის დიაცთა ყვარობა, მოძმის მტრობა და ლანძღვა. ბატონი ყმას არ ინდობდა, ის კიდენა ღალატს არ ერიდებოდა. აბა ასეთი კაცები, მტერს როგორ მოერეოდნენ? იდლოს დავით მეფის სახელმა. ყველას მამა და პატრონი რო იყო, ბრძენი და მოწყალე. მისი მეფობის დროს გლახაკს და მათხოვარს ვერ შეხვედებოდი, თურმე, ჩვენთან. თამარმა ხო სუ გააბრწყინა მთელი ქვეყანა, მაგრამ ეხლა რაღა... შემოვარდნენ ურჯულოები დედაქალაქში და ერთ ღამეში გამოიარეს. სანამ დიდებუნი გაიგებდნენ, მეტეხთან რა ხდებოდა, ბოლომდეც ვავიდნენ. ჩვენი ლაშქრიდან ვინ სად ხედებოდა მტერსა და ვინ სად, გზადაგზა, ცალ-ცალკე, რას გახდებოდნენ. ვინც გადარჩენ, ბრძოლით დაიხინე უკან, თბილისი დატოვეს და ქუთაისისკენ წავიდნენ რუსუდან მეფის დასაცავად. - მერე რა მოხდა, ძმობილო! - ეჰ! ჩემზე უკეთესად ჟამთააღმწერელი ჰყვება: "ვინმე უძლოსა მამინ-დელთა თქულთა და ქმნულთა და განსაცდელთა, რომელი მოინია ქრისტიანთა ზედა... ჩვილიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დე-

დისა ქვაზედა დაანარცხიან და რომელსამე თვალნი წარსცივდიან და რომელსამე ტვინი დაეთიხის... ყვირილითა და ზახილითა და ვებათა საზარელთა ხმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი". აბა, რა ვიცი, როგორ გადავრჩით, მაგრამ მალევე შეგვეყარეს ყველა ტყვე და... რას გვიბედავენ, - ქრისტიანობა უნდა დასტოვოთო. როგორ ვაკადნიერდა ის უწმინდური ჯალალი, რომ, დედა სონს გუმბათი მოარღვევინა, ზედ თავისი ბილნი საჯდომელი დაადგმევინა და ვითომ ზემოდან გვიყურებდა მეტეხთან შეყრილებს. ვინც ქრისტე ღმერთისა და დედა ღვთისმშობლის წმინდა ხატებს არ შეურაცხყოფთო და რჯულს არ დასტოვებთო, თავებს დაგაყრევენთო. მაგის მუქარა შეგვაპინებდა, რო, შალვა ახალციხელს ერთი წელი აწამებდნენ და რჯული ვერ შეაცვლივინეს? - მაგრამ უგულური რო იქნება კაცი, რამეს გააგებიან? - საყვედურთ კი არ ვამბობ, ძმობილო, შეიძლება უგუნურებით მომიდოდეს - ამდენი ტყვე რომ იყავით ერთად, ვერ დასცხეთ იმ ურჯულოებს? - ჩვენა, შენი ჭირიმე, ქრისტე ღმერთმა ჩამოგქანა ზემოდანა, ამოდით აქაო, ზეციურ საქართველოს მხედრობაში მეომრები სჭირდებო. აბა, ვინ არ წავიდოდა? - თანაც, რო დაგვეცხო კიდევ, რას გამოვრჩებოდით. ქალები, მოხუცები, ბავშვები და დაჭრილი კაცები ვიყავით დარჩენილები. ზეციურ მხედრობაში წასვლა არა სჯობდა? - ზოგი ხო არ წავიდა, ურჯულოება მიიღო და... - თუ გინდა რო იცოდე, ჟამთააღმწერელი რო ამბობს, ხალხი გაირყენაო, სწორედ რო მაგათზე წერდა მაგებსა. აბა მაგისთანა ხალხსა ზემოთკენ რა უნდაო. ჯერ დაბლავე უნდა დაიბერტყონ მაჯლაჯუნები. ტყუილად კი არა გალობს დავით მეფე-მეფესალმუნე, არ არი კაცი, რომელი სცხონდა და არა სცოდაო, მამა. - მერედა, აღარ გაუჭირდებათ მაჯლაჯუნების დაბერტყვა? - იმიტომაც შევიქენით ამდენი, რო ბევრმა მამინათვე დაიბერტყა, მეტეხის ხიდზევე, როცა პირველი დაიბერტყა, მუსხლი მოყვარა და ხატს ეამბოხრა. მერე რაღას დაესოუნდენ, ეგრევე ავადებინებდნენ თავებსა. ზოგი კი შე-

შინდა და ურჯულოება მიიღო. იმათ გაუჭირდებოდა, მაგრამ ჩვენ რისთვის ვართ, მაღლა რო ვართ. ერთი გვახსენონ და სუ პირწმინდად დაგაყრევენთ იმ ოხერ მაჯლაჯუნებსა. მამინ, რა, ეგრე არ იყო? დაგვიყრენეს თავები და გავინიეთ მაღლისკენა. აბა, ვუყურებთ ერთმანეთს და ვბრწყინავთ სულელებს სუყველა. დაბლა ვიხედებით, ყრიან და ყრიან ჩვენს ხორცებს მტკვარში. იმდენი ჩაყარეს, ცხედრებზე მეორე ხიდი გაკეთდა. ამასობაში ავედით კიდევ მაღლა და... რას ვხედავთ, გვეგებებიან წმინდა გიორგი, დავით მეფე, თამარი... ველარ ვლაპარაკობ სიხარულითა... გადმოგვახედეს ძირსა და, თურმე, რა ყოფილა. ეს ბოროტი ეშმაკები შესვიან მთელ ჩვენს ქვეყანასა, დასდევნ სათითაო კაცსა, კისერზე ასდებიან და ათას უწესო რამეს უდებენ თავშიდა. ზოგი კი აფრთხობს და იგვირიებს, ერთი-ორიც ისეთია, რო ახლოსაც ვერ ეკარებიან, მაგრამა უმეტესობა სახლიკაცით უხვდება ამ მაჯლაჯუნებს და მის ჭკუაზე გადადის. აბა, ბიჭებო, ჰვა მაგასაო! და რო დევრიებით, სუ ბღღირი ვაყრეინეთ და წივილ-კვილით გადაყარეთ ურჯულოების კისრებზედა. იმ ურჯულოებს თავისიც, ხო, ბევრი ჰყვანდათ და ახლა სულ მთლად დაიღუნენ ჯოჯოხეთამდე. სულ დაცოფდნენ და აიბნენ. ჯერ დაბლა გაიქცნენ სომხეთისკენ, ხლათეს ციხეს შეასკდნენ და სუ ცხვირბირი იმტვრის. მერე განჯისკენ გავარდნ და იქ კიდენა მონღოლებმა მოუთავეს ხელი. მერე მთაში გაქცეული ჯალალიც მოკლა თავისიანმა. - ახლა რას ხედავთ, დღესაც არიან ის უხსენებლები? - არიან, როგორ არა, მეორედ მოსვლამდე სუ იქნებიან, მაგრამ ჩვენ აქ იმდენი ვართ, რო...ნუ გეშინიათ! გასრულდა პარაკლისი. გამოვედი იმ მდუმარეებიდან მოძრავე ქალაქში და ჯერ ხმაურმა დაახშო სმენა, მერე კვამლმა დაწვა ყნოსვა და ბოლოს ხვალნდელი დღის საზრუნავმა დაბინდა გონების თვალი. ამ უდაბურებაში კი ისევ შეუმჩნეველად მოიპარებიან ჩამოსაბერტყი მაჯლაჯუნები...

# დიდი წარმატება, სწორი არჩევანით ინყება!



- შპს "ინტელექტ ცენტრი" ერთ-ერთი მრავალპროფილიანი სასწავლო ცენტრია საქართველოში, სადაც თავმოყრილი არიან ერთგუნდად შეკრული პროფესიონალთა მთელი ჯგუფი.
- შპს "ინტელექტ ცენტრის" ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ადამიანთა დახმარება, რომელთაც პროფესიულ ზრდაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ან ახალი სპეციალობის შეძენაში ესაჭიროებათ ისეთი აუცილებელი სპეციალობების დაუფლება, რომლებიც ჩვენს სასწავლო ცენტრში ისწავლება და რაზეც დღეისათვის ნებისმიერ ინტელექტუალურ სამსახურში, (ეს იქნება სახელმწიფო თუ კერძო სექტორი,) მოთხოვნილება დღითიდღე მატულობს.
- ჩვენი მსმენელები არიან არა მხოლოდ ფიზიკური პირები, არამედ ჩვენთან ახალ სპეციალობას იძენენ, ან კვალიფიკაციას იმაღლებენ სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლები.
- ინტელექტ ცენტრის" კურსდამთავრებულები აქტიურად აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა სპეციალობით, სადაც სრულყოფილად იყენებენ ჩვენთან მიღებულ ცოდნას.
- გთავაზობთ სასწავლო პროგრამებს:
  1. კომპიუტერული პროგრამების სრული პაკეტი-როგორც დამწყებთათვის ასევე სხვადასხვა სპეციალისტად მოსამზადებელი კურსები
  2. საბუღალტრო აღრიცხვა და პრაქტიკული ბუღალტერია - საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.
  3. კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები - (Oris, super-fin, info)
  4. ინგლისური ენა - საკომუნიკაციო, ბიზნეს და სპეციალიზირებული სასერთიფიკატო კურსები ( FCE ; PRE TOEFL; TOEFL; IELTS; GRE; )



5. ბიზნეს ადმინისტრირება -(მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, სამენარეო სამართალი, საგადასახადო საქმე, ფსიქოლოგიური ტრენინგი)
6. მენეჯერული მართვა და აღრიცხვა - მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამა

7. ფინანსური მენეჯმენტი
  8. საგადასახადო საქმე
  9. სპეციალური ცხრათვიანი კომპლექსური კურსები
  10. ბიზნეს ფსიქოლოგიური ტრენინგები - (გაყიდვების ფსიქოლოგია, მარკეტინგის ფსიქოლოგია და პროექტის მენეჯმენტი)
  11. უნარ-ჩვევების მოსამზადებელი კურსები
- კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს. სწავლის ღირებულების გადახდა შესაძლებელია, როგორც ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, აგრეთვე გადარიცხვით. შპს "ინტელექტ ცენტრი" აგრეთვე გთავაზობთ ბუღალტრულ, საგადასახადო, ფსიქოლოგიურ, ბიზნეს კონსულტაციებს და სრულ კომპიუტერულ სერვისს. ჩვენთან არსებული ვებ სტუდია დაგიზადებთ პროფესიონალურ ვებ გვერდებს, შეგიქმნით თქვენი ორგანიზაციისთვის საჭირო სპეციალურ პროგრამას და მონაცემთა ბაზას. დაინტერესების შემთხვევაში იხილეთ ჩვენი ვებ გვერდი [www.intelc.ge](http://www.intelc.ge)
- მის: კარგარეთელის ქ. N9, მე-2 სართ. აღმაშენებლის 133-ის კუთხეში  
**ტელ: 958112; 958113; 893618212;**  
**www.intelc.ge**  
**e-mail:intellectcenter@yahoo.com**
- ნინო მღებრიშვილი - სასწავლო ცენტრის მენეჯერი

# სპორტი

## “ზორჯალოსნები” A იტალია ელის



აქტუალური გორჯაძე იტალიის A ნაკრებთან საქართველოს ვერ დაეხმარება

ქართული რაგბის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ მატჩში არგენტინის A ნაკრების ძღვევის შემდეგ “ზორჯალოსნები” იტალიის A ნაკრებს სტუმრობენ. უფრო სწორად, ოთხი დღის განმავლობაში უდინეში ვარჯიშობდნენ, დღეს კი უდინეზეს მახლობელ პალმანოვაში, იტალიის

დროით 18:00 საათზე, აპენინელებს ებურთავებიან. ცნობილია საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ავსტრალიელი მწვრთნელის ტიმ ლეინის სასტარტო შემადგენლობაც, მაგრამ ვიდრე “ზორჯალოსნები” შემადგენლობას გაეცნობოდეთ, დაეძინეთ, რომ არგენტინასთან გამართუ-

### იტალია A - საპარტიველო

20 ნოემბერი, 2009 წ. პალმანოვა (უდინე), იტალია  
**საქართველო:**  
**სასტარტო შემადგენლობა**  
 დავით ხინჩაგიშვილი (“ბრივი”, საფრანგეთი)  
 ირაკლი ნატრიაშვილი (“ფარულ კონსტანცა” რუმინეთი)  
 დავით ქუბრიაშვილი (“ტულონი”, საფრანგეთი)  
 ილია ზედგინიძე (“კარკერენ იერი”, საფრანგეთი)  
 გიორგი ნემსაძე (“მასი”, საფრანგეთი)  
 გიორგი ჩხაიძე (“მონპელიე”, საფრანგეთი)  
 რატი ურუშაძე (“ენისეი-სტმ”, რუსეთი)  
 დიმიტრი ბასილაია (“ლე ბუგი”, საფრანგეთი)  
 ბიძინა სამხარაძე (“ფარულ კონსტანცა”, რუმინეთი)  
 ლაშა მაღალურაძე (“ბეზიე”, საფრანგეთი)  
 ალექსანდრე თოდუა (“ლელო”, საქართველო)  
 რევაზ გიგაური (“სენაკი”, საფრანგეთი)  
 დავით კაჭარავა (“ნიცა”, საფრანგეთი)  
 ირაკლი მანანაძე (“სენტ-ეტიენი”, საფრანგეთი)  
 მერაბ კვიციანიშვილი (“ფიფაკი”, საფრანგეთი)  
**სათადარიგოები:**  
 დავით დადუნაშვილი (“პერიგო”, საფრანგეთი)  
 ჯაბა ბრეგვაძე (“ყოჩები”, საქართველო)  
 ვასილ კაკოვიანი (“ბრივი”, საფრანგეთი)  
 სიმონ მაისურაძე (“ვილერბანი”, საფრანგეთი)  
 ლაშა თავართქილაძე (“ფარულ-კონსტანცა”, რუმინეთი)  
 ვიქტორ კოლედიშვილი (“ლელო”, საქართველო)  
 ირაკლი აბუსერიძე (“ოსერი”, საფრანგეთი)  
 ირაკლი ჩხიკვაძე (“აია”, საქართველო)  
 ლაშა ხმალაძე (“ლელო”, საქართველო)

ლი ამხანაგური შეხვედრის შემდეგ ნაკრების რამდენიმე წამყვანმა ლეგიონერმა ფრანგულ კლუბებს მიაშურა. მათი ადგილი მთავარ გუნდში ახალგაზრდა მოთამაშეებმა დაიკავეს.

## გიორგი ჭანტურია დაბრუნდა ბოლით აღნიშნა

ამ კვირაში საფეხბურთო სამყარო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებით იყო დაკავებული. ჩვენთვის კი ერთი მეტად სასიამოვნო ფაქტი დაფიქსირდა. მსოფლიო მედიას ამისთვის დიდი ყურადღება არ დაუთმოია. მეტიც, ეს ამბავი მხოლოდ “ბარსელონას” ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ისიც გაკვირვებდა. საქმე ის არის, რომ გაიმართა ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელის გიორგი ჭანტურიას დაბრუნების “ბარსელონას” პირველი გუნდში. დიას, არ შეგვეშლია - 16 წლის ქართველმა თავდამსხმელმა ითამაშა

იმ კლუბის მთავარ გუნდში, რომელმაც გასულ სეზონში ყველა ჯილდო მოიპოვა და რომელიც დღეს მსოფლიოში უძლიერეს გუნდად ითვლება. სანაკრებო ბატალიებით გამოწვეული შესვენებით, ცხადია, “ბარსელონამაც” ისარგებლა. კატალონიურმა გრანდმა ამხანაგური მატჩი ბოლივიურ კლუბ “ბოლივართან” გამართა. გვარდითილას განკარგულებაში ამ დღეს “ბარსას” ძირითადი შემადგენლობის უდიდესი ნაწილი არ იყო. მიზეზი ნათელია - ვარსკვლავები სანაკრებო თამაშებით იყვნენ დაკავებული.

შეხვედრას, რომელიც “ბარსას” 4:1 მოიგო, დაახლოებით 1000 გულშემატკივარი ესწრებოდა. “ბარსელონას” ძირითადი შემადგენლობის უდიდესი ნაწილი აკლდა, მაგრამ ოციფიალურად ეს მატჩი სწორედ პირველმა გუნდმა გამართა. მინდორზე იყვნენ ისეთი ფეხბურთელებიც, როგორებიც არიან მარკესი, ვაზერელ მილიტო (უკვე წელიწად-ნახევარია, მილიტოს ტრავმის გამო არ უთამაშია), ბიანი კრკიჩი და მატყევი. მათ შორის იყო გიორგი ჭანტურია, რომლისთვისაც ეს გახლდათ სა-

დაბრუნების “ბარსელონას” ძირითად გუნდში. ბოლივიელთა კარში მე-4 გოლი სწორედ ჭანტურიამ გაიტანა. სხვათა შორის, “ბარსელონას” ოფიციალურ საიტზე ქართველი ფეხბურთელი ასეა მოხსენიებული - გიორგი ჭანტურია. მატჩს “ბარსას” სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტიანიც დაესწრო. ჭანტურია ესპანურ გრანდში ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულებით იმყოფება და “ბარსას” ასაკობრივ გუნდში - ჟუვენლ B-ში თამაშობს.

## ანა ოდიშვილმა ახალგაზრდა ბატუსიტით მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

სანკტ-პეტერბურგში მიმდინარეობს ახალგაზრდა ბატუსიტით მსოფლიო ჩემპიონატი. ქართველი ბატუსიტისთვის მსოფლიო პირველობა უშედეგოდ დაიწყო - ლიუბა გოლოვინა 47-ე ადგილზე გავიდა, ნანა ლუჭაშვილი 59-ე იყო, ხოლო თენგიზ კომკაძე 61-ე პოზიციას დასჯერდა. სამაგიეროდ, კარგად გამოვიდნენ პატარა ბატუსიტები. 11-12 წლის სპორტსმენთა შეჯიბრებაში ანა ოდიშვილმა იყოჩაღა და 51 გამომსვლელს შორის ბრინჯაოს მედალი მოიგო. საკვალიფიკაციო გამოსვლების შემდეგ ანა ოდიშვილი და თეონა ჯანჯღავა ფინალში, შესაბამისად, მეოთხე და მეექვსე ადგილი შევიდნენ. ფინალში ოდიშვილი შედეგიანად გამოვიდა - 34.300 ქულა დააგროვა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. თეონა ჯანჯღავამ კი ვარჯიშის შესრულებისას შეცდომა დაუშვა და მერვე ადგილს დასჯერდა. ამჯერე ასაკის ქაბუტეებში გამოდიოდა ზურაბ ნოზაძე. 32.300 ქულით მან მე-14 ადგილი დაიკავა.

### სპორტის დეპარტამენტის პრესამსახური

## ზუგდიდის “ზაიას” ქალთა გუნდმა მილანში საერთაშორისო ტურნირზე იმარჯვა

მილანში დასრულებულ 21-წლამდე ქალ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე - “მილანი 2009”-ზე ზუგდიდის “ზაიას” გოგონათა გუნდმა წარმატებულად ითამაშა და ფინალში მილანის “ატლეთიკოს” 3:0 დამარცხება მოახერხა. საინტერესოა, რომ “ზაია” მეტოქე იტალიის მოქმედი ჩემპიონი იყო. ასე რომ, ქართველმა გოგონებმა საკმაოდ სერიოზული გუნდის დამარცხება შეძლეს. ფინალურ მატჩს საქართველოს ნაკრების და “მილანის” მცველი კახა კაძეც დაესწრო და გამარჯვებულ ქართველებს ფუნდის საჩუქრები გადასცა. ზუგდიდის “ზაია”: ნადირაშვილი, ხუნჯგურუა, პასიკაშვილი, ქველიძე, ტაბუაშვილი, თოდაძე, სუთიძე, დოლიძე, ჩემინავა, ქარდავა, კვალიაშვილი, ბაქრაძე, ჩახავა, ქობალია

### მთავარი მწვრთნელი: გერონტი ნაჭყებია სპორტის დეპარტამენტის პრესამსახური

## აგუერო იანვარში “ჩელსის” ფეხბურთელი გახდება

ფიფას გადაწყვეტილებით, იანვრის შემდეგ “ჩელსის” ორი სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში ფეხბურთელების ყიდვას აუკრძალავენ. ამიტომ “არისტოკრატები” ახლავე იჭერენ თავარიგს და ახალი ფეხბურთელების შეძენას იანვარში აპირებენ. მართალია, “არისტოკრატთა” მწვრთნელი კარლო ანჩელოტი აცხადებს, რომ გუნდის შემადგენლობით კმაყოფილია და არავის დამატება არ სჭირდება, მაგრამ რა იქნება ზაფხულში, არავინ იცის. ზაფხულში ლონდონელები ვერავის იყიდნან. ამიტომ ალბათ ლოგიკურია, რომ იანვრის სატრანსფერო პერიოდში “ჩელსი” იაქტიურებს. ბრიტანულმა მედიამ უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელების გვარები, რომელთა გადაბირებასაც ლონდონელები შეეცდებიან. აბრამოვიჩის სიაში პირველ ადგილზეა მადრიდის “ატლეთიკოს” 21 წლის არგენტინელი ფორვარდი სერხიო კუნ აგუერო, რომელშიც “არისტოკრატები” 40 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას აპირებენ. ახალგაზრდა სამხრეთამერიკელი თავდამსხმელის შეძენა მოითხოვს კარლო ანჩელოტიმ, რომელსაც აგუეროს გადაბირება ადრეც უნდოდა, მაგრამ მადრიდის “ატლეთიკოს” ხელმძღვანელთა მიერ მოთხოვნილი ასტრონომიული თანხის გამო ერთხანს მისი შეძენის სურვილი გაუნელდა. თუმცა, ჩემპიონთა ლიგაზე “ჩელსისთან” მატჩში შესრულებული დუბლის შემდეგ იტალიელი სპეციალისტი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ აგუეროს სანაცვლოდ მართლაც ღირს სოლიდური თანხის გადახდა. “მე ის ძალიან მომწონს. არგენტინელი უნიჭიერესი ფეხბურთელია. დარწმუნებული ვარ, აგუერო და დროგა შესანიშნავ ტანდემს შექმნიან”, - განაცხადა ანჩელოტიმ. არგენტინელის გარდა, “არისტოკრატებს” “მანჩესტერ სიტის” მარჯვენა მცველის მიკა რიჩარდის შეძენაც სურთ. ლონდონურ გრანდს 21 წლის უკანააზიელის სანაცვლოდ 12 მილიონი ფუნტის გადახდა მოუწევს. ლონდონელები მხოლოდ ამ ორ ტრანსფერს არ დასჯერდებიან და, სულ მცირე, კიდევ ორი მოთამაშის შეძენას შეეცდებიან, თუმცა, მათი გვარები ჯერ ცნობილი არ არის.

## “ქორეზმა” ლიდერობა განიხტკიცეს

NBA-ს რეგულარულ სეზონში ბრწყინვალე თამაშს აჩვენებს “ატლანტა ჰორნეტსი”. ზაზა ფაჩულას გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერია და, როგორც ჩანს, პოზიციების დამთმობას არ აპირებს. ის, რომ “ქორეზმა” ამ სეზონშიც მოიპოვებენ პლეი-ოფის საფეხურს, უკვე ნათელია, თუმცა ახლა ჯორჯიელები მეტისთვისაც არიან მზად. ბევრს მიაჩნია, რომ “ატლანტას” ლიგის ფინალში თამაში შეუძლია. გუშინ, გამთენიისას, მიკე ვუდსონის შეგირდებმა საკუთარ “ფილიპს არენაზე” დუეინ ვეიდის “მაიამი ჰითი” 105:90 დაამარცხეს. თამაში “ქორეზის” უპირატესობით დაიწყო. პირველი ორი მეოთხედის შემდეგ მასპინძლები 17 ქულას იგებდნენ. მესამე მეოთხედში კი ვითარება დაიძაბა. “ჰითმა” ანგარიშში სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა და თითქოს თამაშის გადარჩენაც შეეძლო, მაგრამ მეოთხე მეოთხედის დასაწყისში “ატლანტამ” სოლიდური ჰანდიკაპი აღიდგინა. ამ მომენტში ვუდსონს მოედანზე თითქმის მეორე შემადგენლობა ჰყავდა გაყვანილი. სასტარტო ხუთუთხედიდან მხოლოდ მარვინ უილიამსი თამაშობდა. ზაზა ფაჩულამაც სწორედ ამ ეპიზოდში შეძლო გუნდის დახმარება. მართალია, ქართველი ცენტრის მონაგარი არც ისე დიდია, მაგ-



ფაჩულია ფარქვემ ბრძოლისას

რამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ თამაშის გადამწყვეტ ეპიზოდში ზა-

ზა სრულად იყო მოედანზე, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნაკრე-

### დიარას ბრიტანეთში ელიან

“რელის” ნახევარმცველმა მაჰამადუ დიარამ შესაძლოა საფეხბურთო კარიერა ნისლიან ალბიონზე გააგრძელოს.

პრემიერლიგის კლუბები სერიოზულად არიან დაინტერესებული მალევე ფეხბურთელის გადაბირებით. დიარას შეძენის სურვილს “ლივერპული”, ლონდონის “არსენალი” და “ტოტენჰემი” გამოთქვამენ.

რაც შეეხება 28 წლის ნახევარმცველის პოზიციას, ამ ცოტა ხნის წინ მისმა აგენტმა ფრედერიკ გუერამ განაცხადა, რომ მისი კლიენტი იანვარში მაისის ეროვნულ გუნდთან ერთად აფრიკის ეროვნულთა თასის გათამაშებაზე აპირებს გამოსვლას. ასე რომ, “რელიდან” არსად წავა.

### “ევერტონმა” ივანოვიჩს დაადგა თვალი

ლივერპულის “ევერტონის” მესვეურები ბელგიურ კლუბ “სტანდარტის” სერბი ფორვარდით მილან ივანოვიჩის შეძენით დაინტერესდნენ.

არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ 28 წლის თავდამსხმელმა 2010 წლის იანვრიდან მოირგოს ინგლისური კლუბის მაისური.

“ევერტონის” მთავარ მწვრთნელს დევიდ მოიესს სერბი ფორვარდის გადაბირება აქამდეც უნდოდა, მაგრამ ფეხბურთელი ინგლისში გადასვლაზე უარს ამბობდა.

### კოული მინდორს უბრუნდება

“ჩელსის” გულშემატკივრთა სასიხარულოდ, არ გამართლდა მედიკოსთა ვარაუდი, რომლებიც ამბობდნენ, რომ ეშლი კოულს წვივის ძვალი ჰქონდა დაზიანებული და მას, სულ მცირე, სამკვირიანი უქმობა ელოდა. “ჩელსის” ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, კოულმა გუნდთან ერთად ვარჯიში უკვე განაახლა და ჩემპიონატის უახლოეს ტურში “ვულვზის” წინააღმდეგ ითამაშებს.

### იბრაჰიმოვიჩმა “ინტერი” განირა

ჩემპიონთა ლიგის მორიგ ტურში “ბარსელონა” “ნოუ კამპზე” “ინტერს” უმასპინძლებს. ამ მატჩში ქულების დაკარგვის შემთხვევაში კატალონიელები შესაძლოა პლეი-ოფშიც კი ვერ გავიდნენ. “ინტერის” ყოფილ, ამჟამად კი “ბარსელონას” ფორვარდს ზლატან იბრაჰიმოვიჩს მიაჩნია, რომ მილანელებს “კამპ ნოუზე” ქულს აღების შანსიც კი არ ექნებათ.

“ინტერის” თამაშს ახალწვეულები კარგად მოერგნენ და ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, “ბარსელონა” მეტოქეს დაამარცხებს და პლეი-ოფშიც აუცილებლად გავალით. ჯგუფური ეტაპის ყველა მატჩი მაღალ დონეზე ჩატარებით, ქულები კი იმის გამო ვერ დავაგროვებ, რომ ილბალმა ზურგი გვაქცია”, - აცხადებს იბრაჰიმოვიჩი.

### ედუარდო “არსენალის” ერთგულია

არც ისე დიდი ხნის წინ ხორვატიის ნაკრების ბრავილიური წარმომადგენელი ედუარდო “არსენალის” დატოვებით იმუქრებოდა. ორი დღის წინ კი 26 წლის ფორვარდმა “მეთოფებთან” ახალი კონტრაქტი გააფორმა. “ძალიან მიხარია, რომ ედუარდო ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დაგვთანხმდა. ის შესანიშნავი ფეხბურთელია. უამრავ დადებით თვისებასთან ერთად, ხორვატს გოლის განსაკუთრებული ალლო აქვს. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივარს ნამდვილი ედუარდო ჯერ კიდევ არ უნახავს”, - განაცხადა არსენ ვენგერმა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდთან საუბრისას.


### ვეას პროგნოზი

აფრიკული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა, შავი კონტინენტის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელსაც “ოქროს ბურთი” მოუგია, ლიბერიელი ფეხბურთელი ჟორჟ ვეა აცხადებს, რომ მომავალ მუნდიალზე რომელიმე აფრიკული ქვეყნის ნაკრები ნახევარფინალში მაინც ითამაშებს.

“ძნელი, მაგრამ რეალური ამოცანაა. სულ ცოტა ხნის წინ განამ ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა. ასე რომ, რატომ არ უნდა გვქონდეს წარმატების იმედი? სათანადო მომზადების, დისციპლინისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგად აფრიკულ გუნდს თვით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაუფლება შეუძლია”, - განაცხადა ვეამ.

ამავე დროს ვეა აღნიშნავს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის აფრიკულ კონტინენტზე გამართვა უადრესად მნიშვნელოვანია რამ არის და აფრიკულ ფეხბურთს წინ წაწვეს “ახალი სტადიონები, შექმნილი ინფრასტრუქტურა - ყველაფერი ეს დარჩება ბავშვებს, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, მოესწრებიან კარგ მოედნებზე თამაშს. ახლა ხომ ბევრ მათგანს ბალახზე ასპარეზობის შესაძლებლობა არა აქვს”, - აცხადებს “მილანის” ყოფილი ვარსკვლავი.

# ტორინოშინა ზადიზად მაოთხად მოიბო



ტორინოშინი ლიდერებში გაერიო

იაპონიის ქალაქ ფუკოიოკოში გრძელდება სეზონის უკანასკნელი ბაშო. წლის დასკვნით სუპერთურიზმზე წარმატებით ასპარეზობს ახალგაზრდა ლევიან გორგაძე (ტორინოშინი) და თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა, სექტემბრის წარმატებული ბაშოს შემდეგ დაკარგული პირველი მაიგაშირას ტიტული დაიბრუნოს.

იგივეს ვერ ვიტყვით ვეტერან კოკაისა (რომელიც მაკუჩი დივიზიონში ვერაფრით გვახარებს) და ძუროს დივიზიონის დებიუტანტ გაგამარუზე.

გუშინწინ იაპონიაში ქართული დღე იყო - სამივე ქართველმა მოიგო, გუშინ კი მხოლოდ ტორინოშინიმა გაიმარჯვა.

ზედიზედ მოგებული ორი შეხვედრის შემდეგ გაგამარუ ვაკაკოუს დაუპირისპირდა და ჰიკიოტომის ილეთით დათმო ბრძოლა. ხუთი დღის შემდეგ ქართველს ორი გამარჯვება და სამი მარცხი აქვს. დღეს ჩვენებური კირინოვაცას უნდა შეერიონ, რომელმაც ხუთიდან ოთხი ბრძოლა წააგო.

მაკუჩი დივიზიონში მეოთხე მარცხი იწვინა კოკაიმ. ამჯერად ის დასავლეთის მეცამეტე

მაიგაშირა მაკონამისთან დამარცხდა. თუ ასე გაგრძელდა, კოკაის გაუჭირდება ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება და რეიტინგშიც დაქვეითდება. რაც შეეხება ტორინოშინს, მან იორიკირის ილეთით დაამარცხა დასავლეთის მეექვსე

მაიგაშირა კუკუტენო, ხუთი დღის შემდეგ ოთხი გამარჯვება დაუგროვდა და ბაშოს ლიდერებშიც გაერიო. ასპროცენტური მაჩვენებელი მხოლოდ ორ იოკოძუნას აქვს - ასოშირიუს და ჰაკუჰოს ყველა ბრძოლა აქვთ მოგებული.

დღეს ტორინოშინის მეტოქე იქნება აღმოსავლეთის მეათე მაიგაშირა ასასეკირუ, რომელსაც მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს აქტივში, კოკაი კი დასავლეთის მეთორმეტე მაიგაშირა შოტენერუს უნდა დაუპირისპირდეს.

# “სპორტის დედოფალი” მეფე-დედოფალს ირჩევს

### ბიბა ბურსასაშილი

*პლანეტის უსწრაფესი ადამიანი, უსეინ ბოლტი, რომელმაც პეკინში სამი ოლიმპიური ოქროს მედალი დაიკაო, იმ პრეტენდენტთა შორის მოხვდა, რომელთა შორის მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ (IAAF) 2009 წლის საუკეთესო მძლეოსანი უნდა გამოავლინოს.*

იამაკულ სპრინტერს საუკეთესოობამდე კონკურენტთა კვარტეტი - ეთიოპიელი კენენისა ბეკელე, ამერიკელი ტაისონ გეი, ავსტრალიელი სტივ ჰუკერი და ნორვეგიელი ანდრეას ტორკილდსენი ჰყავს ჩამოსაშორებელი.

უსეინ ბოლტი საკუთარი არადამიანური შედეგებით მთავარ ფავორიტად ითვლება და, თუ სასწაული არ მოხდა, “სპორტის დედოფალი” მეფედ ალბათ სწორედ მას აღიარებს, რაშიც ხელს შეუწყობს დასრულებული სეზონი. სეზონი კი ბოლტისთვის და, საერთოდ, კაცობრიობისთვის ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატის სამი ოქროს მედალითა და 100 და 200 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდებით გამოირჩა.

ბოლტის უშუალო კონკურენტთა შორისაა ასევე სპრინტერი ტაისონ გეი, რომელიც იმავე მსოფლიო ჩემპიონატზე 100 მეტრზე რბენაში მხოლოდ იამაკულს ჩამორჩა. ამერიკელის ბერლინური ვერცხლის მედალი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ სრული სეზონის განმავლობაში ტრავმით გატანჯულმა შეძლო წარმატების მიღწევა. არადა, გეი კარგა ხანს 100 მეტრზე საუკეთესო შედეგის მქონე სპრინტერი იყო მსოფლიოში.

სპრინტერებიდან სტაიერ კენ



უსეინ ბოლტი ოთხი კონკურენტი ჰყავს ჩამოსაშორებელი

ნენისა ბეკელეზე გადავიდეთ. ეთიოპიელს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ არც ერთ სარბიელზე ბადალი არ ჰყავს. ბერლინის ბილიკებზე 5000 და 10000 მეტრზე რბენაშიც იზეიმა ჩემპიონობა. გარდა ამისა, ეთიოპიელს ზურგს უმაგრებს “ოქროს ლიგის” პრესტიჟულ ასპარეზობათა სერიაში ექვსივე ეტაპზე (5000 მ.) პირველობა. “ოქროს ლიგაზე” წლებულს მსგავსი შედეგი ჰქონდა კიდევ ორ სპორტსმენს - რუს ჭოკით მხტომელ ელენა ისინბაევასა და 400 მეტრზე რბენაში ამერიკელ სანი რიჩარდს (“ოქროს ლიგის” მილიონიანი “ჯეკ პოტი”

სწორედ ამ ტრიოზე გადავანალიზდეთ, რომლებიც, თავის მხრივ, საუკეთესო ქალ სპორტსმენ პრეტენდენტთა შორის არიან, ისევე როგორც ახალგაზრდა იელი ბირთვის მკვრივი ვალერი ვილი, რომელსაც წლეულს არ წაუგია. ასევე ხორვატი ბლანკა ვლასიჩი (სიმალეზე ხტომა) და ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატზე მსოფლიო რეკორდის დამამხობელი, პოლონელი ანტია ვლო-დარიჩიკი (უროს ტყორცა).

...ჭოკოტ მხტომელ სტივ ჰუკერს ერთი ცდა იყო იმისთვის, რომ ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატი მოეგო.

შუბის სროლაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ანდრეას ტორკილდსენმა კი ნავსი გატეხა და, პირველად საკუთარ კარიერაში, მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. მანამდე კი ორჯერ - ჰელსინკსა და ოსაკაში ვერცხლის მედლებით დაასრულა ასპარეზობა. გარდა ამისა, ნორვეგიელმა სალონიკში მსოფლიო ფინალი მოიგო.

სანუკვარი ვილდოს მფლობელის, 2009 წლის საუკეთესო მძლეოსანი ქალ-ვაჟის ვინაობას 22 ნოემბერს მონაკოს ტრადიციულ მეჯლის World Athletics Gala-ზე გაახმოვანებენ.

## ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დღეათა ასოციაცია - დეას საანგარიშო მოხსენება საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობათა შპს პირთათვის ხელმისაწვდომობა-მისაღებების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე

ზუგდიდის ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დღეათა ასოციაცია - დეა 2009 წლის 1 იანვრიდან ბხორციელიზს პროექტს „ჩვენ დავიბადეთ თანასწორნი და განსხვავებულნი“. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. თანადამფინანსებელია გაეროს ბავშვთა ფონდი.

პროექტის განხორციელებაში ორგანიზაციის პარტნიორები არიან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს ინვალიდ ქალთა საერთაშორისო ასოციაცია, ასოცირებული წევრები - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

**პროექტის მიზანია** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა მათი თვითშეფასების დონის ამაღლებითა და დისკრიმინაციის შემცირებით.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ასოციაცია-დეას მიერ ამ პროექტის ფარგლებში ჩატარებული ერთ-ერთი საქმიანობის - საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობათა (ზუგდიდისა და თბილისში) მონიტორინგის კონკრეტული შედეგებისა და მათი განზოგადების საფუძველზე მიღებული სიტუაციური სურათის ანალიზს.

მონიტორინგის მიზანი იყო შესწავლა და გაანალიზება იმისა, თუ როგორ რეაგირებდა შპს პირთათვის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული პრინციპები და კანონმდებლობით გაყარებული უფლებები

მონიტორინგისათვის შეირჩა 57 ობიექტი (26 - ზუგდიდისა და 31 - თბილისში)

### მონიტორინგისთვის შერჩეული დაწესებულებები

**- ზუგდიდი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რაიონული სასამართლო, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, კ/თ „ატრიუმი“, შ. დადიანის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრი, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, შ. მესხიას სახ. სახელმწიფო ინსტიტუტი, მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკა“, კლინიკა „გული“, ზუგდიდის ბავშვთა პოლიკლინიკა, ცენტრალური სუპერმარკეტი, სავაჭრო ცენტრი „ალიანსი“, რესტორანი „მენძელ“, სახალხო ბანკი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზუგდიდის სამსახური, სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრი, NN 1; 2; 3; 5; 7; 10 და 11 საჯარო სკოლა. NN 4; 10 და 12 საბავშვო ბაღი.

**• თბილისი:** საქართველოს პარლამენტი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, კინოთეატრი „რუსთაველი“, ჰიპერმარკეტი „გუდვილი“, სუპერმარკეტი „პოპული“, რესტორნები „შემოიხედე გენაცვალე“, „მეტეხის ჩრდილი“, კაფე ოპერასთან, „ნიკალა“, აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატოლოგიისა და მეან-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, ავერსის კლინიკა, 1-ლი, 23-ე, 24-ე, 53-ე, 55-ე, 122-ე, 166-ე საჯარო სკოლები, N1 ბავა-ბაღი, N145 ბავა-ბაღი, N3 ბავა-ბაღი, ასოციაცია „ბავა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.

მონიტორინგის შედეგების სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ შესწავლილ შენობა-ნაგებობათაგან სრულად მხოლოდ 8 აკმაყოფილებს შპს პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნებს (2 - ზუგდიდში, 6 - თბილისში.); 17 დაწესებულების შენობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს (6 - ზუგდიდში, 11 - თბილისში), ხოლო 30 შენობა-ნაგებობა აბსოლუტურად შეუღწეველი და ხელმიუწვდომელია შპს პირებისთვის.

თუ ამ მონიტორინგის ანალიზისთვის შკალისებურ კლასიფიკატორს ავირჩევთ, უდავოა, რომ სამედიცინო დაწესებულებები მშენებლობის სტანდარტების მიხედვით პირველ ადგილზე და მეტნაკლებად აკმაყოფილებს შპს პირთა შეღწევადადობისთვის დადგენილ აუცილებელ მოთხოვნებს. კერძოდ,

სულ შესწავლილ იქნა აღნიშნული პროფილის 5 დაწესებულების ნაგებობა. მათგან 2 - ავერსის კლინიკა და ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკა“ სრულად აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო სამი - აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატოლოგიისა და მეან-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, შ.პ.ს. კარდიოლოგიური კლინიკა „გული-ზუგდიდი“, ზუგდიდის ბავშვთა პოლიკლინიკის ნაგებობა - ნაწილობრივ.

იმ ფონზე, როცა ოფიციალურად არის დეკლარირებული საქართველოს განათლების სისტემაში ინკლუზიური სწავლების დანერგვა, რაც შესაბამისად ასახულია საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ და კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“, მონიტორინგის ჯგუფს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უნივერსიტეტი, სკოლები, საბავშვო ბაღები) არაადეკვატური მდგომარეობა დახვდა. შესწავლილი 28 ობიექტიდან მხოლოდ ერთი - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აკმაყოფილებს შპს პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნებს, ორი - ნაწილობრივ, ხოლო - დანარჩენი შენობა გარედანაც კი სრულიად შეუღწეველია შპს პირებისთვის, რომ არაფერი ეთქვამთ შიდა ინფრასტრუქტურაზე.

მონიტორინგის ფარგლებში შერჩეულ იქნა თბილისის 6 და ზუგდიდის 7 საჯარო სკოლა. კერძოდ, თბილისის NN 23, 24, 53, 55, 122, 166 და ზუგდიდის NN 1, 2, 3, 5, 7, 10 და 11. ვერც ერთი სკოლის შენობა-ნაგებობის კონსტრუქცია სრულად ვერ უზრუნველყოფს ამ ობიექტებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარგებლობას. მხოლოდ 24-ე სკოლის პირველი სართულია ხელმისაწვდომი და შეღწევადი შპს პირთათვის, რადგან შესასვლელთან არის პანდუსი ეტლი მჯდომი შპს პირებისთვის, ასევე სახეურების სისტემა, სკოლის პირველ სართულზე ორი საკლასო ოთახი აღჭურვილია შესაბამისი მერხებით, არის სველი წერტილიც. ყველა დანარჩენი სკოლა შეუღწევადაა შპს პირებისთვის. ზუგდიდის N1 და N2 სკოლებს აქვთ მხოლოდ პანდუსები.

საინტერესო იყო სახელმწიფო ორგანოებში არსებული მდგომარეობა შენობა-ნაგებობების შპს პირებისთვის შეღწევადადობის კუთხით:

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს** შენობის მხოლოდ პირველი სართულია შეღწევადი შპს პირებისთვის, რადგან გათვალისწინებულია მხოლოდ პანდუსი.

**ზუგდიდის რაიონული სასამართლო**- შენობას მიშენებული აქვს პანდუსი, მაგრამ შენობის ინტერიერში პირველ სართულზე მოხვედრის შემდეგ, შპს პირთათვის შეუღწევადი და ხელმიუწვდომელი რჩება სხვა სართულები.

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**- შენობას უკანა მხრიდან აქვს პანდუსი, რომელიც დაკავშირებულია ლიფტთან და ქმნის პირობებს შპს პირთა გადაადგილებისათვის, მაგრამ არ არის სპეციალურად მათთვის განკუთვნილი სველი წერტილები..

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს შენობა**, მიუხედავად ახლადჩატარებული სარემონტო სამუშაოებისა, ვერ უქმნის შპს პირებს შესაბამის პირობებს დაწესებულებაში თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის.

მონიტორინგი ჩატარდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობათა რიცხვს მიეკუთვნება. შენობის მარჯვენა მხარეს არის პატარა შესასვლელი, რომელზედაც მაგრდება პანდუსი, რის შემდეგაც თეატრი შეღწევადაა, თუმცა შენობაში მოხვედრის შემდეგ შპს პირს რეალური დაბრკოლებები ექმნება გადაადგილებაში. ასევე არ არის გათვალისწინებული შპს პირებისთვის სველი წერტილები. შენობაში არ არის ლიფტი.

**ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**- შენობას გვერდითა ექსტერიერიდან მიშენებული აქვს პანდუსი. ნაგებობაში შეღწევა შპს პირისთვის შესაძ-

ლებელია, თუმცა მას ექმნება პრობლემა შენობის შიგნით მოხვედრის შემდეგ.

**თბილისში არსებულ დიდ სუპერმარკეტებს შორის** შეირჩა „გუდვილი“ და „პოპული“. ორივე მათგანი შეღწევადაა შპს პირებისთვის.

საზოგადოებრივი კვების ობიექტებიდან მონიტორინგი ჩატარდა „კაფეს ოპერასთან“, რომელიც არაა შეღწევადი შპს პირებისთვის. პროექტის ფარგლებში მოხდა საზოგადოებრივი კვების ობიექტის კაფე „შემოიხედე გენაცვალე“ და კაფე „ნიკალას“ - მხოლოდ გარე ფასადის ვიზუალური დათვალიერება, რადგან არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, დაწესებულებებმა არ გამოყვეს საკონტაქტო პირები, რომლებიც მონიტორინგის ჯგუფის წევრებს დაეხმარებოდნენ შენობების სრულფასოვან დათვალიერებაში. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ვერ მოხერხდა შენობების შიდა ნაწილის სრულყოფილი დათვალიერება. რაც შეეხება შეღწევადადობას- კაფე „ნიკალას“ მარჯვენა მხარეს არის პანდუსი, რომლის მეშვეობითაც შპს პირი თავისუფლად შევა დაწესებულებაში, ხოლო „შემოიხედე გენაცვალეს“ შენობაში მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ კიბეების საშუალებით.

მონიტორინგის შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ ფიზიკური გარემოს შეღწევადადობის არსებული სურათი განპირობებულია შპს პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის არათანმიმდევრულობით და საზოგადოების არაადეკვატური მიდგომებით.

**მართალია, კანონი, ავალდებულებს სხვადასხვა დაწესებულებებს უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, მაგრამ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რომელი ორგანოები არიან უფლებამოსილი განახორციელონ მონიტორინგი ამ მოთხოვნების შესრულებაზე.** გარკვეულწილად სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ ამ საჭიროებათა გათვალისწინება ნაგებობების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რემონტის დროს მხოლოდ სპონტანურად ან საერთოდ არ ხდება. ხშირ შემთხვევაში ეს შემოიფარგლება პანდუსების მიშენებით, რომელთა დიდი ნაწილი გამოუსადეგარია ეტლით მოსარგებლე შპს პირის დამოუკიდებლად გადაადგილებისათვის, ინტერიერის არაადაპტირებულობის შემთხვევაში ფაქტობრივად არ ცვლის ხელმისაწვდომობის ხარისხს და ამდენად ატარებს ფორმალურ ხასიათს. ეს კი ცალსახად ქმნის ნიადაგს არაპირდაპირი დისკრიმინაციისათვის, მაშინ, როდესაც „შპს პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მიხედვით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაცია აკრძალულია და კანონით ისჯება.“

მიუხედავად ამისა საქართველოში არ არსებობს პრეცედენტი ვისიმე პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისა ფიზიკური ან იურიდიული პირების მხრიდან.

**მოკლე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგმა განსახილველი კუთხით არსებულ მრავალგვარ პრობლემათა წარმოჩენას შეუწყო ხელი. მართალია, საქმიანობები ჩატარდა მხოლოდ ორ ქალაქში, მაგრამ სხვაგან შეიძლება კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყოს. აშკარად გამოიკვეთა პრობლემები როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების დამოკიდებულებებში ამ საკითხისადმი. აუცილებელია გატარდეს ძირეული ცვლილებები ორივე მხარის მიერ, რაც შეიძლება აისახოს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი კანონმდებლობის, მასში მოცემული უფლებებისა და ვალდებულებების აღსრულების მკაცრი და შეუვალი მექანიზმების შემუშავებაში, პასუხისმგებლობათა პროპორციულ და შესაბამის გადაწესებაში, ხოლო საზოგადოების მხრიდან - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ წლობით ჩამოყალიბებული არაადეკვატური შეხედულებების დაძლევა და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმაში.**

## თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა "ოფთალმიჯი"

ერთდართი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით

სიასტლე!  
მნიშვნელოვანი ფასდაკლება  
კატარაქტის ოპერაციაზე  
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

ტოტის ხელფასს უზრდინან

ფრანჩესკო ტოტი "რომასთან" ახალი ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს და კარიერასაც ამ კლუბში დაასრულებს. იტალიური მედიის ინფორმაციით, ახალი კონტრაქტის თანახმად, ფრანჩესკოს ხელფასიც გაიზარდება.

"ბოლო პერიოდში ბევრი რამ ითქვა ჩემი კონტრაქტის თაობაზე. მხედველობაში მაქვს რომის მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა უკმაყოფილო განცხადებები, როდესაც ისინი განიხილავენ ჩემს გრძელვადიან კონტრაქტს, რომელიც მაღალანაზღაურებას ითვალისწინებს. კონკრეტულად არავის დავასახელებ. იმას კი ვიტყვი, რომ ეს იგივე ადამიანები არიან, რომლებიც მათთან ერთად ფოტოს გადაღებას ან მაისურზე ავტოგრაფის გაკეთებას მიხოვენ, მერე კი ჩემზე ჭორობენ. ვფიქრობ, ჩემი თამაშით ყველაფერი დავამტკიცე", - ამბობს ტოტი.

"ინტერი" გალოპაში 10 მილიონს იხდის

მილანის "ინტერის" მესვეურები მზად არიან "პარმას" ნახევარმცველ დანიელე გალოპაში 10 მილიონი ევრო გადაიხადონ.

უკვე წელიწადზე მეტია, რაც "ინტერი" ამ ფეხბურთელის გადაბირებას ცდილობს. მილანელთა ტექნიკური დირექტორი მარკო ბრანკა მიიჩნევს, რომ "პარმა" ფეხბურთელის სანაცვლოდ 14 მილიონ ევროს მოითხოვს, თუმცა შესაძლებელია ვაჭრობა და საერთო ენის გამოხატვა.

მატჩის ჩაშლისთვის დასაჯეს

კოპენჰაგენის სასამართლომ ფეხბურთის გულშემატკივარს რონი ნორვიგს დანიის ფეხბურთის ფედერაციის სასარგებლოდ, 900 000 კრონის (180 000 დოლარის) გადახდა დააკისრა.

ნორვიგს ბრალი დასდეს ფინანსურ დანაკარგებში, რომელიც დანიის ფეხბურთის ფედერაციამ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შედეგითან ჩაშლილი მატჩის გამო მიიღო - 2007 წლის 2 ივნისს კოპენჰაგენში, დანიისა და შვედეთის ეროვნული გუნდების შეხვედრისას, ნორვიგმა მატჩის გერმანელ არბიტრზე ჰერბერტ ფანდელზე თავდასხმა სცადა, რის გამოც თამაში ჩაიშალა, დანიელებს კი 0:3 წაგება ჩაეთვალათ.

დანიური ფეხბურთის თავკაცები ნორვიგისგან 1,6 მილიონი კრონის (320 180 დოლარის) გადახდას ითხოვდნენ, რაშიც ისინი დაბრუნებული ბილეთებისა და კოპენჰაგენის სტადიონისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის მიცემას ითვალისწინებდნენ. თუმცა, სასამართლომ გულშემატკივარს უფრო ნაკლები სასჯელი შეუფარდა, რადგან ჩათვალა, რომ სტადიონზე უსაფრთხოების ზომები სათანადოდ დაცული არ იყო.

ადრიანოს "ფენერბახჩეში" იწვევენ

ბრაზილიაში დაბრუნებულ ადრიანოს, რომელიც მაღალ დონეზე ათამაშდა და ეროვნულ ნაკრებშიც დაიბრუნა ადგილი, თურქული გრანდი "ფენერბახჩე" იწვევს.

"ფენერი" მზადაა, 6 მილიონი ევრო გადაიხადოს ჭირვეულ ვარსკვლავში. მაგრამ ტრანსფერი მაშინ უფრო რეალური გახდება, თუ სტამბულები ესპანელ დანიელ გუიზას გაყიდვან.

# აფრიკული საბზური ფრანგებს ანრის ხელით უბოძეს

ოთხშაბათს საბოლოოდ დადგინდა იმ 32 გუნდის ვინაობა, რომლებიც პირველ აფრიკულ მუნდიალზე ითამაშებენ.

**აფრიკა:** სამხრეთ აფრიკა (მასპინძელი), კამერუნი, ნიგერია, განა, კოტ დ'ივუარი, ალჟირი.

**ევროპა:** დანია, შვეიცარია, სლოვაკეთი, გერმანია, ესპანეთი, ინგლისი, სერბეთი, იტალია, პოლანდია, სლოვენია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი.

**სამხრეთ ამერიკა:** ბრაზილია, ჩილე, პარაგვაი, არგენტინა, ურუგვაი.

**აზია:** ავსტრალია, იაპონია, სამხრეთ კორეა, ჩრდილო კორეა.

**ოკეანია:** ახალი ზელანდია  
**კონკაჯი:** აშშ, მექსიკა, ჰონდურასი.

მუნდიალის უკანასკნელი ხუთი მონაწილის ვინაობა ოთხშაბათს გამართული პლეი-ოფების შემდეგ გახდა ცნობილი. მოულოდნელობა საკმაოზე მეტი იყო. უპირობო ფავორიტმა ეკვატორულ ალჟირის ნაკრებთან წააგო, ჰიდინკის დამოძღვრებამ რუსებმა სლოვენელებს ვერაფერი მოუხერხეს, საფრანგეთის ნაკრებმა კი მხოლოდ ანრის ხელითა და მსაჯის უხეში შეცდომის წყალობით შეძლო ირლანდიელთა დამარცხება.

ის, რაც "სტად დე ფრანსზე" გამართულ მატჩში მოხდა, კიდევ დიდხანს ემხსოვრებათ. ირლანდიაში ჩატარებულ პირველი მატჩის შემდეგ "სამფეროვნებს" თითქოს პრობლემა არ უნდა ჰქონოდათ, თუმცა ტრაპატიონის შეგირდებმა შეუძლებელი შეძლეს - "სტად დე ფრანსზე" გოლი გაიტანეს და, სულ მცირე, პენალტების სერიას მაინც იმსახურებდნენ, მაგრამ დამატებით დროში ანრიმ ხელთ გაიხარა ბურთი, შემდეგ გალას გადააწოდა და... ირლანდიის ნაკრები სახლში რჩება. ხელით თამაშში ყველაფერი დაიწყო, არბიტრის გარდა. თავად ანრიმაც ალიარა, ხელთ ვითამაშეო, მაგრამ ეს საქმეს ვეღარ უშველის. ალბათ ვერც ის, თუ უფაა შვედ არბიტრის მარტინ ჰანსონს დასჯის.

მსაჯისგან იყო საუბარო სლოვენია-რუსეთის მატჩის შემდეგაც. ნორვეგიელმა ტაერ ჰაუგემ მინდვრიდან ორი რუსი ფეხბურთელი გააძევა. ჰიდინკმა თითქმის ყველაფერი ამას დააბრალა. არადა, თავად რუსული პრესაც კი აღნიშნავს, რომ რუსეთის ნაკრები, ფეხბურთის გარდა, ყველაფერს თამაშობდა და გუნდი მინდვორზე ცოცხალ-მკვდარი იყო. მარცხის შემდეგ ჰიდინკს, ეტყობა, იმის გამბედაობაც არ ეყო, პრესკონფერენციაზე მისულიყო და რუს უწრწინაობის ტებს ცალკე ესაუბრა. სიბრაზისგან პოლანდიელს ზრდილობაც დავიწყებია - მატჩის შემდეგ სლოვენელებმა თავკაცს ხელი არ ჩამოართვეს. კეკის შეგირდებმა კი, შეიძლება ითქვას, ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს.

**მატიაჟ კეკი (სლოვენის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** "პირველი მატჩის შემდეგ ურთულეს ვითარებაში აღმოვჩნდით. თუმცა სწორად შერჩეული ტაქტიკისა და ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე ჩვენთვის ყველაფერი ბედნიერად დასრულდა. დღევანდელი წარმატებით დავასამართო კრიტიკოსები. ვილაქ ამბობდა, რომ ჩვენ ზედმეტად დაცვით ფეხბურთის ვთამაშობთ, მაგრამ ასე არ არის. ამ წარმატების წყალობით შეძელით ზღაპრი ზაპოვიჩის ოქრის თაობის გამირობის გამოვრება. ასე რომ, სრულიად დამსახურებულად მივგზავნი მუნდიალზე. ჩვენი გამირობა ისტორიაში შევა. მსაჯის მოქმედებაზე ვერაფერს ვიტყვი. საკმაოთი ეპიზოდები კარგად არ დამინახავს. რაც უნდა თქვან მსაჯეზე, შედეგი ყველაფერზე ლაპარაკობს: ჩვენ უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე რუსებმა. ჰიდინკი თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. ისიც ვიცი, რომ ნამდვილი ჯენტლმენია. ვფიქრობ, მატჩის შემდეგ ჩემთვის ხელის ჩამოთმევა და მოლოცვა არ უნდა დაზარებოდა. მაგონი ამას ვიმსახურებდი".

**ბორუტ პახორი (სლოვენის პრემიერ-მინისტრი):** "თქვენ გგონიათ, დაპირება არ შეგასრულე? ახლახან დავბრუნდი გასახდელიდან და ბიჭებს ბუცებიც გავუწმინდე. მართალია, მთლად საგულდაგულოდ არა, მაგრამ სიტყვა მაინც შეგასრულე".

**ზლატკო ზაპოვიჩი (სლოვენის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი):** "სლოვენის ნაკრებმა პირწმინდად აჯობა რუსებს. დიანს, რუსეთის ნაკრებში უფრო მაღალი დონის ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ ჩვენ უკეთესი გუნდი გვყავს".

**გუუს ჰიდინკი (რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** "პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდი იმის გამო, რომ იქ სლოვენელები ზე-



სლოვენის ნაკრები მუნდიალის საგზურის მოპოვებას აღნიშნავს

იმოდნენ, უწრწინაობას კი არ გავუბიჯებ. თავიდანვე ვიტყვი, რომ მსაჯის მოქმედებით უკმაყოფილო ვარ. ფირკოვი უსამართლოდ გააძევა. ფეხბურთელის პროვოცირება სლოვენის ნაკრების სათადარიგოთა სკამიდან მოახდინეს. კურაჯკოვის შემთხვევაში კი ეპიზოდ არ დამინახავს. თავად სამამ მითხრა, რომ მექარიისთვის არ დაურტყამს. მე არ მაქვს იმის საფუძველი, რომ ჩემს ფეხბურთელს არ ვენდო. ნაკრებთან კონტრაქტი 2010 წლის ივნისამდე მაკავშირებს. ნასვლას არ ვაპირებ. მიხარია, რომ რუსეთის ფეხბურთის ფედერაციამ კონტრაქტის გაგრძელება ჯერ კიდევ მატჩამდე შემომთავაზა."

**ჯოვანი ტრაპატონი (ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** "განადგურებული ვარ. ლაპარაკიც კი არ შემიძლია. ამას ჯობდა პენალტების სერიაში წაგვეგო. მსაჯს საკმაოდ ვაძიანებოდა იმისთვის, რომ ლინს-მენისთვის მაინც ეკითხა, რა მოხდა იმ ეპიზოდში. ანრიმ ხელით ითამაშა და ეს, მსაჯის გარდა, ყველაფერი დაინახა. სუფთა თამაშის პრინციპებზე ამდენს საუბრობენ, რეალობაში კი რა ხდება. დღევანდელი მატჩში ყველა ნახა და ყველაფერი იცის, რაც მოხდა - ჩვენ გამარჯვება მოგვაპარეს".

**რაიმონ დომენეკი (საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** "ხელით თამაში არ დამინახავს. ხან ჩვენ გვიმართლებს, ხან - სხვას. ირლანდიელებს კარგი თამაში უნდა მივეულოვო. მე კი წარმატებით ტკობა მაცალიეთ. მუნდიალზე სრულიად დამსახურებულად მივემგზავრებთ".

**ტიერი ანრი (საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი):** "დიანს, ხელით თამაში იყო, მაგრამ მე ხომ არ ვარ მსაჯი. ბურთი ხელზე მომხვედა. მე თამაში გავაგრძელე. მსაჯმა ვერაფერი შენიშნა. ასე რომ, ლაპარაკიც აღარ არის საჭირო".

**რიჩარდ დანი (ირლანდიის ნაკრების მცველი):** "ანრიმ მითხრა, რომ საფრანგეთის ნაკრებმა დამსახურებულად გამარჯვა. ისიც მითხრა, რომ ხელით თამაში იყო. რას უნდა ვგრძობდე ამის შემდეგ? ახლა რა უნდა ვქნათ? საფრანგეთი მიღის მუნდიალზე, ჩვენ - არა. ასეთ თამაშში ასეთი შეცდომები დაუშვებელია. უბრალოდ, პლატინის მსოფლიო ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების ხილვა უნდა იქნას".

**კარლუშ კეირუში (პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** "დამსახურებულად მოვიგეთ. პორტუგალიის ნაკრები სწორი მართლებით ვითარდება და ეს საბოლოო შედეგს მოგვიტანს. ერთი წამითაც არ მეპარებოდა ეჭვი, რომ მუნდიალის ფინალურ ეტაპზე გავი-ლოდით".

**ოტო რეპაველი (საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** "დღეს საბერძნეთის ნაკრებმა ყველაფერი გაიღო გამარჯვებისთვის. ფეხბურთელებმა ჩემი მითითებები ბოლომდე შესასრულეს. კმაყოფილი ვარ როგორც თამაშით, ისე შედეგით".


**ალექსეი მიხაილჩენკო (უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** "რაოდენ დასანანიც არ უნდა იყოს, ბერძნებს გამარჯვება უნდა მივეულოვო. ბიჭებს ვერაფერში დავადანაშაულებ. დღევანდელი მარცხი ჩემი ბრალია. გუნდმა შესარჩევი ციკლი უმაღლეს დონეზე გაიარა. დარწმუნებული ვარ, მუნდიალზე გამგზავრებასაც ვიმსახურებდით".



შენი ადგილი ინტერნეტში  
www.myhost.ge

# 3 თვე უფასო პოსტინგი

☎ 470000  
✉ info@myhost.ge



















განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 სექტემბრის №158 დადგენილების შესაბამისად, 2009 წლის 4 დეკემბერს დღის 12:00 საათზე, ქ. თბილისში გორგასლის ქუჩა №16-ში (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შენობა) ატარებს აუქციონს, რომელზეც გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

Table with 7 columns: მესაკუთრის დასახელება, ქონების დასახელება და აღწერა, ზომის ერთეული, ერთეულის საწყისი ფასი (ლარი), საერთო საწყისი ფასი (ლარი), ბიჯის ღირებულება (ლარი)

Table with 6 columns: ა/მ „ბელაზი“, ერთეული, ღირებულება, ბიჯის ღირებულება, ხარისხი, მარკა

Table with 5 columns: მასალის სახელი, ერთეული, ღირებულება, ბიჯის ღირებულება, ხარისხი







Table with 7 columns: ID, Name, Address, Area, Price, etc. Includes rows for 'ელ.კარადა', 'ვენტილატორი', 'ავზი წყლის 10 ტ-იანი', etc.

Table with 6 columns: Name, Area, Price, etc. Includes rows for 'რეზერვუარი 5 ტ-იანი წვ. საამქროს ეზოში', 'სადრენაჟე (სასენაჟე) ორმო მოლიანში'.

მესამე პირებს რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარუდგინონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს.

ყველა დაინტერესებულ პირს, უფლება აქვს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

სატენდერო განცხადება

1. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა) აცხადებს მრავალწლიან ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 1450 უმწეო მოქალაქისათვის ყოველდღიური ერთჯერადი კვების უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ოთხ ლოტად და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ლოტი N1 - დიდმის მასივი (დ/მ I, II, III, IV, V და VI კვარტლების მიმდებარე ტერიტორია) - 310 ბენეფიციარი

ლოტი N2 - დიდუბის დასახლება - (დიდმის ხიდიდან დინამოს სტადიონამდე ტერიტორია) - 420 ბენეფიციარი

ლოტი N3 - კუკიის დასახლება (ართვინის, მამარდაშვილის, სენაკის, ნორიოს აღმართის და ჩეჩელაშვილის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია) - 250 ბენეფიციარი

ლოტი N4 - სვანეთის უბნის დასახლება (ლამის, პ.სააკაძის, დავითაშვილის, სალიბიეს და სიღნაღის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია - 470 ბენეფიციარი

2. მინოდების სავალდებულო ვადაა 2010 წლის 01 იანვრიდან - 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქულ კონვერტში) ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 15 დეკემბრის 11:00 საათიდან 2009 წლის 15 დეკემბრის 15:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა, მეხუთე სართული, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება

4. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- 4.1 იურიდიული პირისათვის: ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება; გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

- 4.2 ფიზიკური პირისათვის: ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს; ბ) საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს. გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება; დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ; ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

- 4.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის: ა) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში. ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ; გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცე-

მულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მინოდების შესახებ; დ) ინფორმაციას პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ობიექტის (სასადილო დარბაზის) ფლობის შესახებ (საკუთრება, იჯარა, ქირავნობა და სხვა);

5. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება, გარდა 4.3.ბ, 4.3.გ. და 4.3.დ. პუნქტის მოთხოვნებისა.

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773174;

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 1450 უმწეო მოქალაქისათვის ყოველდღიური ერთჯერადი კვების უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

8. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 20 ნოემბრის 11 საათიდან 2009 წლის 15 დეკემბრის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

9. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი საბანკო გარანტია (საბანკო ან სადაზღვევო კომპანიიდან), სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე.

11. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი საბანკო გარანტია (საბანკო ან სადაზღვევო კომპანიიდან), ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მაია გოგოლაძე, პაატა პატარაია, ტელეფონი: 95.99.85, 95.76.21;

შენიშვნა: ა) მომსახურების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;

ბ) ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

გ) არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

სატენდერო კომისია

